Ministry for Foreign Affairs of Finland

გოგოებისა და ბიჭების თანაბარი შესაძლებლობები

ტრენინგის საკითხავი მასალა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის

თბილისი, 2020

საკითხავი მასალა შეადგინა: ნანა ბერეკაშვილმა, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგი, გენდერის საკითხების სპეციალისტი

ძირითადი საკითხები:

გენდერის განსაზღვრებისთვის 2
გენდერული როლის დასწავლა ანუ გენდერული სოციალიზაცია 3
გენდერული სტერეოტიპები 7
გენდერული სტერეოტიპიდან დისკრიმინაციასა და ძალადობამდე 10
სექსუალური შევიწროება სამსახურში ან სასწავლო გარემოში 16
გენდერული თანასწორობა 20
გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები 27
გენდერული უთანასწორობა განათლების სისტემაში და მისი დაძლევის რეკომენდაციები 30
რჩევები მოდულების ავტორებისთვის 35
ლექსიკონი 40

გენდერის განსაზღვრებისთვის

„გენდერი" ინგლისური სიტყვაა. ადრე იგი მხოლოდ გრამატიკაში გამოიყენებოდა და აღნიშნავდა არსებით სახელთა სქესს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა ცნება „გენდერი", რომელიც სოციალურ და კულტურულ გარემოში ქალისა თუ კაცის ფუნქციის აღმნიშვნელი გახდა. თუმცა მასში არ მოიაზრება ცნება „სქესი", გენდერის გასაგებად აუცილებელია, რომ იგი ამ ცნებისაგან გავმიჯნოთ.

რას ეხება სქესი და რას - გენდერი?

სქესი აღნიშნავს ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ განსხვავებებს ქალსა და კაცს შორის. ადამიანები იბადებიან კაცებად ან ქალებად, რაც იმას განაპირობებს, რომ მათ შეუძლიათ, მაგალითად: იმშობიარონ, ასწიონ უფრო მძიმე საგნები, ძუძუთი კვებონ, უფრო მაღალ ხმაზე იმღერონ და ა.შ. ამიტომაც ვამბობთ, რომ სქესი ბიოლოგიით განისაზღვრება.

გენდერი კი ეხება შეხედულებებს, მოლოდინებსა და წესებს ქალებისა და კაცებისთვის. იგი განპირობებულია სოციალურად: ადამიანები იბადებიან ქალებად ან კაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოელიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა თვისებები განივითარონ, რა ადგილი დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა წესებს დაემორჩილონ და ა.შ. ამ შეხედულებების გადამცემია ოჯახი, ავტორიტეტული ადამიანები, რელიგიური და კულტურული დაწესებულებები, სკოლა, მედია, თანატოლთა წრე და სხვა, ადამიანის სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი პიროვნებები და ინსტიტუტები.

გენდერი სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება (ზოგჯერ ამბობენ, რომ გენდერი „იქმნება“ ან „კეთდება") და წარმოადგენს თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობას, რომლებიც ქალისა და კაცისთვის კონკრეტულ საზოგადოებაშია განსაზღვრული. გენდერში, ასევე, იგულისხმება შეხედულებები „ქალურობისა“ და „მამაკაცურობის“ შესახებ; თუმცა იმის გამო, რომ სოციალურ-კულტურული გარემო დინამიურია და მუდმივად იცვლება, მასთან ერთად იცვლება ეკონომიკური პირობებიც და ეს ყველაფერი გენდერის ცვილილებაზე აისახება.

მცდარია გენდერის მხოლოდ ქალების საკითხთან გაიგივება. მის ფოკუსში ორივე სქესი და მათი ურთიერთმიმართებაა მოქცეული. გენდერი ნეიტრალური ცნებაა და არ გულისხმობს კარგს ან ცუდს, არამედ წარმოადგენს სოციალური პროცესების გაგებისა და კლასიფიკაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. გენდერი საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ: როგორაა განაწილებული ძალაუფლება, ვინ დომინირებს და ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ არის კულტურაში „უჩინარი", ვინ ხდება დისკრიმინაციის ან ძალადობის ობიექტი და ა.შ.

გენდერული როლები. შეთვისებული გენდერი გენდერულ იდენტობას ქმნის და გენდერულ როლს განსაზღვრვს. გენდერულ როლებზე მოქმედებს: ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, სოციალური კლასი, ეკონომიკური პირობები, რელიგია. გენდერული როლი

სოციალური პოზიციაა, რომელსაც ნორმები ან მოლოდინები ახლავს ქალებისა და კაცებისთვის; ქალისა და კაცის როლები კი სტატუსის, ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით განსხვავდება.

ქალებისა და კაცების გენდერული როლები საკმაოდ განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში და, ასევე, ერთი კულტურის (საზოგადოების) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. თუმცა არსებობს დიდი კულტურათაშორისი მსგავსებაც. მიუხედავად კულტურათა განსხვავებისა, მათ უმრავლესობაში გაბატონებულია (ან შემორჩენილია) მამაკაცთა დომინირების (პატრიარქალური) სისტემები, რის გამოც გენდერული როლები ასიმეტრიული და არათანასწორია და მამაკაცთა პრივილეგირებულ, ხოლო ქალების მეორეხარისხოვან პოზიციებს გამოხატავს. თუმცა ორივე პოზიციას თავისი პრობლემები აქვს, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. გენდერული როლების კიდევ ერთი დამახასიათებელია ის, რომ კაცის როლი კონცენტრირებულია მხოლოდ პროდუქტიულ ფუნქციებში (სახლს გარეთ მუშაობა ანაზღაურების სანაცვლოდ), ხოლო ქალის როლი კონცენტრირებულია რეპროდუქტიულზე (ოჯახზე ზრუნვა, საკვები, დალაგება/გასუფთავება, ბავშვები), თუმცა თანამედროვეობაში იგი პროდუქტიულსაც შეითავსებს. კაცი რეპროდუქციული როლისგან ტრადიციულად იყო თავისუფალი, უფრო მეტიც, ეს ფუნქცია მისი ღირსების შემლახავადაც კი ითვლებოდა და ზოგ კულტურაში ასეც ითვლება დღემდე.

გენდერული როლის დასწავლა ანუ გენდერული სოციალიზაცია

გენდერული სოციალიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შეთვისებისა და მათი გათავისების პროცესი. სოციალიზაციის პროცესში ქალები და კაცები (გოგოები, ბიჭები) სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში არიან. სოციალიზაციის მსვლელობაში ჩვენ ვასწავლით გოგოებსა და ბიჭებს, რომ არის რაღაცეები, რაც მხოლოდ ერთი სქესისთვისაა დამახასიათებელი და არ ახასიათებს მეორეს.
გენდერულ სოციალიზაციაში მონაწილეობს სოციალიზაციის ინსტიტუტები: ენა, ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, სკოლისგარეშე ჯგუფები, კულტურა, მასმედია და აგენტები: მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და მათი ე.წ. როლური მოთხოვნები. ეს ორივე – ინსტიტუტებიცა და აგენტებიც - არსებული ,,გენდერული წესრიგის" კვლავწარმოებასა და ქალისა და კაცის ტრადიციული ფუნქციების შენარჩუნებას ემსახურება. განათლების სისტემაში გენდერულ სოციალიზაციაზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოყოფენ პედაგოგების გავლენას, თანატოლებს, მმართველობის სტილს, სასწავლო მასალებსა და სასწავლო გარემოს, ზოგადად.

როგორ ხდება გენდერული როლების დასწავლა? პირველ რიგში, ესაა ე.წ. დადებითი და უარყოფითი განმარტება სოციალიზაციის აგენტების მხრიდან, ანუ წახალისების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება გენდერულად ,,სწორი" ქცევისა და თვისებების გამომჟღავნებისას და უარყოფითი რეაგირება - დასჯა, იგნორირება, უკმაყოფილო გამომეტყველება, სიტყვები და ა.შ. ბავშვის მიერ გენდერულად ,,არასწორი" ქცევისა და თვისებების (მათ შორის ინტერესის) გამომჟღავნებისას. სოც. აგენტები, ასევე, იყენებენ საჭირო

მიმართულებით ყურადღების მიმართვის მექანიზმსაც (მაგ. ბიჭს მივუთითებთ რომ სათამაშოების ვიტრინაში მანქანებსა და იარაღს შეხედოს, ხოლო გოგოს -თოჯინებისკენ.

გენდერული სოციალიზაციის ძირითადი თეორიების მთავარი პრინციპები:

სოციალური დასწვალის თეორია. გენდერული დასწავლის ძირითადი პრინციპებია: გენდერული როლების დიფერენცირება პირდაპირი ან ირიბი განპირობების გზით. მონაწილეობს: ინსტრუქტაჟი/სწავლება, დაკვირვება და მოდელირება, წახალისება და დასჯა.

სოციალური როლების თეორია. ქალები და კაცები ემზადებიან საზოგადოებაში ქალისა და კაცის სოციალური როლებისა და ფუნქციების შესრულებისთვის და მათთან ადაპტაციისთვის. აქედან გამომდინარეობს მათი განსხვავებული თვისებები და ქცევები. (იგლი)

კოგნიტური განვითარების თეორია. ბავშვი, როგორც აქტიური მონაწილე გენდერული განვითარებისა.
მონაწილეობს: გენდერის გაგება/გააზრება, შემეცნებითი ინფორმაცია, რომელსაც ბავშვი მოზრდილისგან იღებს; საკუთარი თავის ჩართვა ერთ-ერთ კატეგორიაში. ეს არის ბავშვის მიერ სქესთან მიკუთვნებულობისა და ამ მახასიათებლის მუდმივობის გააზრება.

გენდერული სქემების თეორია. ბავშვები დაისწავლიან, თუ რას ნიშნავს „ქალური“ ან „კაცური“ იმ კულტურაში, რომელშიც ცხოვრობენ.
ბავშვები აკვირდებიან „ქალურთან“ და „კაცურთან“ ასოცირებულ ინფორმაციას, ახდენენ მათ გარშემო მოვლენებისა და ნივთების კატეგორიზაციას „ქალურად“ ან „კაცურად“ და ცდილობენ, თავიანთი ქცევა ქალურობისა და მამაკაცურობის ამ მკაცრ სქემებს შეუსაბამონ.

მშობლების როლი გენდერულ სოციალიზაციაში

ადრეული გენდერული სოციალიზაცია
რა ხერხებით, როგორ ქმნიან მოზრდილები გოგოებისა და ბიჭებისთვის განსხვავებული სოციალიზაციის პირობებს?
პირველ რიგში, ესაა განსხვავებული გარემოს შექმნა ბავშვისთვის პირველივე დღეებიდან. მაგალითად, საძინებლის მორთულობაში განსაზღვრული ფერებისა და თემატიკის გამოყენება.
მშობლები თავიანთ ვაჟებს ისეთ სათამაშოებს აძლევენ, რომლებიც ხაზს უსვამს მოძრაობასა და შეჯიბრს (თოფები, მანქანები, ბურთები, ხელსაწყოები), გოგოების სათამაშოებში კი აქცენტირებულია მზრუნველობა, თანამშრომლობა და ფიზიკური მიმზიდველობა (თოჯინები, სათამაშო ჭურჭელი, სახტუნაო, სამკაულები).

დამოუკიდებლობა თუ დამოკიდებულება? მშობლები დადებითად რეაგირებენ, როცა მათი ვაჟი მანქანებით თამაშობს, ყურადღებას მოითხოვს, დარბის და ცოცავს, ან სათამაშოებს ართმევს სხვა ბავშვებს.

ამის საპირისპიროდ კი გოგოებთან ურთიერთობისას მშობლები თვითონ მართავენ თამაშს, ეხმარებიან, ხელს უწყობენ მათ მონაწილეობას საოჯახო საქმეებში, ელაპარაკებიან, იყენებენ მხარდამჭერ ფრაზებს (შექებას, დათანხმებას), აქცენტს ემოციებზე აკეთებენ.

ემოციების გამოხატვა თუ კონტროლი ემოციებზე? გოგოებთან ორივე მშობელი საუბრისას და თამაშის დროს აქცენტს ემოციებზე აკეთებს. დედები უფრო ხშირად ასახელებენ ემოციას, როცა გოგოებთან საუბრობენ. ამით მათ ასწავლიან, ყურადღება მიაქციონ სხვის გრძნობებს.
ბიჭებთან საუბრისას კი დედები უხსნიან გრძნობის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს და ამ მიდგომიდან ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ემოციის გამოხატვაზე კონტროლი (Servantes &Sallanan.)
გენდერულად ტიპიური თამაშის გარემო კიდევ უფრო ცხადყოფს განსხვავებებს. მაგალითად, როდესაც ბავშვი სახლობანას თამაშობს, დედები ხშირად ერთვებიან მხარდამჭერი და ემოციების შემცველი საუბრებით (Leaper, 2000).

სათამშოები და თამაშები. სათამაშო მასალისა და სოციალური ურთიერთქმედების გამოყენებით მშობლები ბავშვებს მდიდარი გამოცდილებით უზრუნველყოფენ.
ბიჭებში ეს ხელს უწყობს ასერტიულობის, აღმოჩენის, ფიზიკურ სამყაროსთან მიმართების დამაყარებისა და ემოციური კონტროლის გამომუშავებას, გოგოებში კი მიბაძვის, სხვაზე მინდობისა და ემოციური მგრძნობელობის განვითარებას.
ამავე დროს, ეს გამოცდილება ბავშვებს სამყაროს იმგვარი სურათის აგებაში ეხმარება, რომელშიც ხაზგასმულია გენდერული განსხვავებები.

საშუალო ასაკის ბავშვების განსხვავებული გენდერული სოციალიზაცია

დამოუკიდებლობა. მშობლები ბიჭებისგან კვლავაც უფრო მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვენ:
ბიჭებისგან დახმარების თხოვნას უფრო ხშირად აიგნორებენ მაშინ, როცა გოგოებს ასეთ დახმარებას სთავაზობენ.

შემეცნება. ბიჭებთან მშობლები უფრო დახელოვნებაზე ორიენტირებულ ქცევას მიმართავენ, უფრო მაღალ სტანდარტებს უდგენენ მათ და ხაზს უსვამენ დავალების ძირითად მომენტებს, განსაკუთრებით გენდერულად ტიპური საქმიანობისას.
მამები ვაჟებთან უფრო შემეცნებაზე ორიენტირებულ მეტყველებას იყენებდნენ, ვიდრე გოგოებთან: უხსნიდნენ, უსვამდნენ რთულ შეკითხვებს და სამეცნიერო ენას იშველებდნენ (Tenenbaum& Leaper 2003).
საბავშვო მუზეუმში სამეცნიერო გამოფენაზე დედებიცა და მამებიც ვაჟებს უფრო მეტ სამეცნიერო ხასიათის ახსნა-განმარტებას აძლევდნენ, ვიდრე ქალიშვილებს.

განსხვავებული თავისუფლება. გოგოებთან უფრო დირექტიული მეტყველება გამოიყენება: განკარგულება, კონკრეტული შეთავაზება, ვიდრე ბიჭებთან (Leaper, Anderson & Sanders 1998).
როდესაც დედები ბავშვებისგან ყოფითი მოვალეობების შესრულებას მოითხოვენ, ბიჭებს კონტროლს უწევენ, მაგრამ ავტონომიურობასაც ანიჭებენ, ანუ ბიჭებს სთავაზობენ, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება: „როგორ ფიქრობ, როდის შეძლებ მუსიკაში მეცადინეობას?" და ეს

ხდება მაშინ, როცა გოგოების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მათ მაგივრად იღებენ: „მუსიკაში სადილის მერე იმეცადინებ?"
ბიჭებს უფრო ადვილად უშვებენ გარეთ და სახლის საქმიანობებისგანაც ათავისუფლებენ. გოგოებს კი

მრავალ კულტურაში ისეთი საოჯახო დავალებები ეძლევათ, როგორიცაა საჭმლის მომზადება, დალაგება, უმცროს ბავშვებზე ზრუნვა - ისეთი რამეები, რაც მათ სახლში ან მის სიახლოვეს აკავებს. ბიჭების მოვალეობები კი უფრო გარე სამყაროსთანაა კავშირში: ეზოში მუშაობა, საყიდლებზე წასვლა და ა.შ.

მასწავლებლები, როგორც განსხვავებული გენდერული სოციალიზაციის აგენტები

საერთაშორისო კვლევების მიხედვით:

საშუალო სკოლის მასწავლებლები ბევრად უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ბიჭებს, ვიდრე გოგოებს. მათ უფრო მეტს ელაპარაკებიან, მეტ შეკითხვებს უსვამენ, მეტად უსმენენ, მეტ შემთხვევებში უთანხმდებიან, უფრო მეტად აკრიტიკებენ და მეტადაც აქებენ. ბიჭებს აქებენ ინტელექტუალური მიღწევებისთვის, ხოლო გოგოებს შესრულებული დავალების გარეგნული მხარისთვის. გოგოებს უფრო ხშირად უკრიტიკებენ ინტელექტუალურ უნარებს, ბიჭებს კი მონდომებისა და აკურატულობის ნაკლებობას. მასწავლებლები გოგოებს სიწყნარისა და მოწესრიგებულობის გამო აქებენ მაშინ, როცა ბიჭებს დამოუკიდებელი აზროვნებისთვის, აქტიურობისთვის და საკუთარი აზრების გამოხატვისთვის ახალისებენ. ბიჭებს ცდების ჩატარებაში მონაწილეობის უფლებას აძლევენ, გოგოებს კი ჩანაწერებს აკეთებენ და ა.შ. გავრცელებული პრაქტიკაა, ასევე, ბიჭებისა და გოგოების დაცალკევება და დაპირისპირება, კლასის დაყოფა ბიჭებად და გოგოებად (სხვადასხვა მწკრივში ჩაყენება, განსხვავებული ადგილების მიჩენა, ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: „არ შეგიძლიათ, გოგოებივით წყნარად იყოთ?“, „ბიჭი ხო არა ხარ, რას დარბიხარ?“, რა ბიჭივით ბატიფეხურად წერ?“ და ა.შ. (Sadker&Sadker, Sandler & Hall, Good, T. & Brophy, J.1987, Shelley).

საქართველოში ჩატარებული კვლევა ბიჭებისა და გოგოების მიმართ მასწავლებელთა განსხვავებული დამოკიდებულებების შესახებ. ძირითადი ტენდენციები:

- გენდერული განსხვავებების ხაზგასმა;

- მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გოგოებზე – მათ უნარებზე და ნიჭიერებაზე - დაბალი წარმოდგენის არიან. შესაბამისია მათ მიმართ მოლოდინებიც;

- მასწავლებლები ბავშვის სქესის გათვალისწინებით, განსხვავებული თვისებების აღზრდას აყენებენ ამოცანად.

- ეს განსხვავება გენდერულად სტერეოტიპული მახასიათებლების მხარდაჭერაში გამოიხატება. „დამოუკიდებლობასა“ და „თავისუფლებასთან“ დაკავშირებული თვისებები გოგოებისთვის არაპრიორიტეტულადაა მიჩნეული, ბიჭებისგან განსხვავებით. ბიჭებში კი მეტად სურთ აღზარდონ „დამოუკიდებელი აზროვნების

მქონე", „პატრიოტი" და „საკუთარ თავში დაჯერებულის" თვისებები (ბერეკაშვილი, 2012).

გენდერული სტერეოტიპები

რა ახასიათებს გენდერული სტერეოტიპებს? ესაა ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და კაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა თუ სოციალურ ფუნქციებზე. ეს როლები და თვისებები ერთმანეთის საპირისპირო და ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში წარმოგვიდგება.

გენდერული სტერეოტიპები არსად წერია, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით მათ შესახებ და ჩვენი ყოველდღიურობაც ამ წარმოდგენებით იმართება.

როგორია გენდერული სტერეოტიპის შინაარსი?

ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპი მიგვითითებს, რომ ქალი უნდა იყოს რბილი, დამთმობი, მზრუნველი, მას არ შეუძლია წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, მას მხოლოდ წვრილმანი, ყოველდღიური საქმეების შესრულება ხელეწიფება; ის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა შემოქმედი, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჩამოუვარდება კაცისას და მისი ადგილი, ძირითადად, სახლშია. ქალის მოვალეობაა თავი მოაწონოს კაცს, შეასრულოს „თავისი უპირველესი ფუნქცია"– დაბადოს და გაზარდოს რაც შეიძლება მეტი შვილი (უფრო მეტიც, „გაუზარდოს შვილები მეუღლეს"), იზრუნოს ქმარზე, საკვებზე და სისუფთავეზე.

მამაკაცი, სტერეოტიპის თანახმად, უფრო აგრესიული და უხეშია, ის აზროვნებს ლოგიკურად, სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, არის უფრო ნიჭიერი, შემოქმედებითი, უყურადღებო, ნაკლებად ემოციური, შეუძლია პრობლემის არსის დანახვა და არ წვრილმანდება დეტალებზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრატეგიული გადაწყვეტილებები, თავისუფალი დრო, გართობა, გადაადგილების თავისუფლება, აგრესიულობის გამოხატვის უფლება, ინტელექტუალური საქმიანობა და ყოველდღიურობისგან გათავისუფლება კაცის პრეროგატივაა. ამასთან, გენდერული სტერეოტიპი გვეუბნება, რომ ასეთი ვითარება ბუნებრივია, რომ ყოველთვის ასე იყო და იქნება.

სტერეოტიპულ აზროვნებას საფუძველი ეყრება აღზრდის დროს, როდესაც ბიჭებს და გოგოებს განსხვავებულ და არათანასწორ ადამიანებად ვზრდით.

რა არის პრობლემური გენდერულ სტერეოტიპებში?

- საზოგადოება, რომელიც გენდერული სტერეოტიპებით იმართება, მრავალ შეზღუდვას უქმნის ქალებსა და კაცებს იმაში, რომ ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით იმოქმედონ. ამის მაგივრად ის აწესებს მკაცრ კონტროლს, რომ ყველა – ქალიცა და კაციც, გოგოცა და ბიჭიც გენდერულად „სწორი" და „შესაბამისი" სქემით მოქმედებდეს (ფილმი);
- სტერეოტიპული აზროვნება და პრაქტიკა უპირისპირდება ყოველგვარ სიახლეს: ახალი სახის ურთიერთობებს, ფუნქციების უფრო თანასწორ გადანაწილებას ოჯახში და საზოგადოებაში, ქალებისა და კაცების წარმოჩენას ახალ როლებში, პროფესიებში, სტატუსებში;

- აფერხებს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ განვითარებას;
- ლეგიტიმაციას უკეთებს უთანასწორობას, უსამართლობას, დისკრიმინაციას.

სექსიზმი

გენდერული სტერეოტიპი საფუძველს უქმნის ე.წ. „სექსიზმს", ანუ ადამიანთა დისკრიმინაციას მათი სქესიდან გამომდინარე. ეს ცნება რასიზმის (დისკრიმინაცია რასობრივი კუთვნილების გამო) და ეიჯიზმის (ხანდაზმულთა ან, პირიქით, ახალგაზრდათა უფლებების დარღვევა მათი ასაკის გამო) ანალოგიით შეიქმნა. სექსიზმის ობიექტი შეიძლება გახდეს ქალიც და კაციც, თუმცა მამაკაცთა დომინირების საზოგადოებაში სექსიზმის ადრესატი, როგორც წესი, ქალია. სექსიზმში მოიაზრება დამამცირებელი, დამაკნინებელი მოპყრობა ქალისადმი ან გავრცელებული შეხედულება, ქალის მნიშვნელობისა და წვლილის გაუფასურება, შეზღუდვა, ქალის მნიშვნელობისა და როლის დაყვანა მხოლოდ სექსუალურ ობიექტამდე ან რეპროდუქციულ „მანქანამდე".

საყოფაცხოვრებო სიტუაციებში, გაზეთის ფურცლებზე თუ ცნობილი ადამიანების გამოსვლებში ხშირად შეხვდებით ასეთ გამონათქვამებს: „ქალს რა ჭკუა მოეთხოვება", „ამ ქალს, ეტყობა, პატრონი არა ჰყავს", „ფრთხილად, საჭესთან ქალია" და ა.შ. ან ასეთ ქცევას: კაცებს ურიგოდ უშვებენ რიგში, სადაც ქალები დგანან; მამაკაცები ხშირად მიადევნებენ გამვლელ ქალს უტიფარ მზერას და შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ან სტვენას და ა.შ. – ეს სექსიზმის გამოვლინებებია. ზემოთ ჩამოთვლილ სექსისტურ ქცევას დღეს იურიდიული განმარტებებიც აქვს და ზოგი მათგანი დანაშაულადაც არის აღიარებული, მაგალითად, სექსუალური შევიწროება სამსახურში. თუმცა დანარჩენ შეურაცხმყოფელ ფრაზებს და ქცევას საზოგადოებაში გულგრილობა ან მიმღებლობა ახასიათებს. სექსიზმის ყველაზე მძიმე გამოხატულებად, შეიძლება, ჩაითვალოს ძალადობა ქალის მიმართ.

ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, სექსიზმი არის ინდივიდის დამოკიდებულება ან გრძნობა სხვა ადამიანზე მისი სქესის მიხედვით. ძიძის არ მოწონება იმიტომ, რომ კაცია ან ტექნიკოსის არ მოწონება იმიტომ, რომ ქალია - სექსიზმის მაგალითებია. ინსტრუმენტები, რომლითაც სექსიზმს ზომავენ, მოიცავენ ადამიანის რწმენებს კაცის ან ქალის მიმართ, მაგრამ, ასევე, შეიცავს შეფასებას, კერძოდ, მაღალია თუ დაბალი ეს შეფასება მათი სქესის მიხედვით.

ტრადიციული და თანამედროვე სექსიზმი

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში სექსიზმი შემცირდა, რაც შესაძლოა ასეც იყოს, თუმცა ის მაინც არსებობს, უბრალოდ, უფრო ჩუმი ფორმით. სვიმმა და მისმა კოლეგებმა (1995) ერთმანეთისგან განასხვავეს ტრადიციული და თანამედროვე სექსიზმი.
ტრადიციული სექსიზმი მოიცავს ადამიანის დამოკიდებულებას ქალისა და კაცის მიმართ მისი ტრადიციული როლების მიხედვით, სხვადასხვა მიდგომებს კაცისა და ქალის მიმართ და რწმენას, რომ ქალი კაცზე ნაკლებ კომპეტენტურია. ტრადიციული სექსიზმი ღიად გამოხატავს ქალის მიმართ არასწორ დამოკიდებულებას. დღეს ასეთ დამოკიდებულებას იშვიათად გამოხატავენ, ღიად მაინც.

თანამედროვე სექსიზმი უარყოფს ქალების მიმართ ტრადიციულ დისკრიმინაციას, მაგრამ ის თვლის, რომ რაღაცეები ქალისთვის არ არის და ქალისა და კაცის შესაძლებლობებს არათანაბრად აფასებს.

სექსიზმის ეს ორივე სკალა ერთმანეთთან დადებით კორელაციაშია, ანუ ადამიანი, რომელსაც მაღალი ქულა აქვს ერთ-ერთ სკალაზე, დიდი ალბათობით მეორეზეც მაღალ ქულას აიღებს.

თანამედროვე სექსიზმი არ ითვალისწინებს სირთულეებს, რომელიც ქალებს იმ სამსახურის დაწყებისას აქვთ, სადაც ტრადიციულად კაცები მუშაობდნენ. სვიმმა და მისმა კოლეგებმა (1995) აღმოაჩინეს, რომ თანამედროვე სექსიზმი კორელაციაში იყო ადამიანების გადაჭარბებულ წარმოდგენასთან ქალების იმ რაოდენობაზე, ვისაც „კაცური" სამსახური აქვთ. თანამედროვე სექსიზმი, ასევე, ასოცირდება სექსისტურ მეტყველებასთან და უუნარობასთან, რომ სექსისტური მეტყველება ამოიცნონ.

მტრული და კეთილმოსურნე სექსიზმი

სექსიზმი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ მიდგომას მოიცავს. გლიკმა და ფისკემ (1996) ერთმანეთისგან განასხვავეს მტრული და კეთილმოსურნე სექსიზმი.
მტრული სექსიზმი ქალების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას (მიზოგინისტურია[1]) გამოხატავს. ეს არის ნეგატიური დამოკიდებულება, განსაკუთრებით, იმ ქალების მიმართ, ვინც საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის იბრძვის.
კეთილმოსურნე სექსიზმი კი პირიქით, პოზიტიურ დამოკიდებულებას იჩენს ქალების მიმართ, მაგალითად, დახმარების, კარის გაღების სურვილს და ა.შ.
კეთილმოსურნე სექსიზმი სოციალურ ერთგვაროვნებასთან და სოციალური წესრიგის შენარჩუნებასთან ასოცირდება, რომლის მიხედვითაც კაცები ქალების დამცველებად გვევლინებიან. მტრული სექსიზმისგან განსხვავებით, ის ცუდ ქცევად არ გვხვდება თვალში.
კაცები მტრულ სექსიზმში ქალებზე მაღალ ქულას იღებენ მთელ მსოფლიოში, თუმცა 4 ქვეყანაში (კუბა, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა, ბოტსვანა) ქალებმა კეთილმოსურნე სექსიზმის სკალაზე უფრო მაღალი შეფასება მიიღეს, ეს ქვეყნები, ასევე, ყველაზე სექსისტურთა სიაში იყო.
როგორც წესი, ქალები კეთილმოსურნე სექსიზმს იმიტომ მიმართავენ, რომ ის წინაგანსჯად არ გამოიყურება და თან ამით ქალები კაცებისგან დაცვას იღებენ. ეს კი

განსაკუთრებით საჭიროა სექსისტურ ქვეყნებში, სადაც ქალები ხშირად გვევლინებიან მსხვერპლის როლში.
სექსიზმის ეს ორი ფორმა ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ისინი ერთმანეთთან ძლიერ კორელაციაში არიან. ქვეყნები, სადაც სექსიზმი ძალიან გავრცელებულია, გენდერული უთანასწორობითაც არის ცნობილი.

სექსიზმი კაცების მიმართ

სექსიზმად, ხშირ შემთხვევაში, მოვიაზრებთ სექსიზმს ქალების მიმართ, თუმცა, ასევე, არსებობს სექსიზმი კაცების მიმართაც. ეს ფენომენი გლიკმა და ფისკემ (1999) აღმოაჩინეს. კაცების მიმართ მტრობა პატრიარქატთან დაკავშირებული წყენიდან და იმ რწმენიდან მოდის, რომ კაცები სექსუალურად აგრესიულები არიან.
კაცების მიმართ სექსიზმის მაღალი მაჩვენებელი იმ ქვეყნებში იყო, სადაც გენდერული უთანასწორობაა. 16-დან 15ქვეყანაში ქალებმა კაცებზე მაღალი ქულა აიღეს მტრულ სექსიზმში. 16-დან 11 ქვეყანაში კი კაცებმა აიღეს ქალებზე მაღალი ქულა კეთილმოსურნე სექსიზმის

[1]მიზოგინია - ქალთმოძულეობა, ქალთა და გოგონათა მიმართ უნდობლობა, პათოლოგიური ანტიპათია. ფემინისტურ თეორიაში მიზოგინია პოლიტიკურ იდეოლოგიად მიიჩნევა, რასიზმისა და ანტისემიტიზმის მსგავსად, რაც მამაკაცთადმი ქალთა სუბორდინაციას ამართლებს (ვიკიპედია).

სკალაზე კაცების მიმართ. კეთილმოსურნე სექსიზმი პოზიტიური ხედვაა კაცებისა იმ შემთხვევაში, თუ მათ ქალებზე მაღალი სტატუსი აქვთ.
ქალების მაჩვენებელი კეთილმოსურნე სექსიზმში სულ სხვა მიზეზებით აიხსნება - ის პოზიტიურ შეხედულებას ეყრდნობა ქალების მიმართ, მაგრამ, ასევე, იდეასაც, რომ ქალებს კაცებზე დაბალი სტატუსი აქვთ.

გენდერული სტერეოტიპიდან დისკრიმინაციასა და ძალადობამდე

ე.წ. „სიძულვილის პირამიდის" მოდელი გვეუბნება, რომ ყოველგვარი ძალადობის საფუძველში უთანასწორობაზე აგებული სტერეოტიპებია.

გენდერული დისკრიმინაცია, ასევე ცნობილი, როგორც დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც საგანგებოდ ზღუდავს ან ართმევს ადამიანს შესაძლებლობებს, პრივილეგიებს, სარგებელს მისი გენდერის გამო. ესე იგი იმის გამო, რომ ადამიანი ქალია/გოგოა ან კაცი/ბიჭი. როდესაც გენდერი ფაქტორი ხდება გადაწყვეტილებაში, თუ ვის აიყვანენ სამსახურში, ვის დააწინაურებენ, ვის მისცემენ განათლების შესაძლებლობას, ვის გააგზავნიან პრაქტიკაზე ან გადამზადებაზე, ვის მისცემენ საკუთარი ცხოვრებაზე არჩევანის გაკეთების უფლებას - აქ საქმე გვაქვს გენდერულად დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან. UNESCO განმარტება იმ ელემენტსაც შეიცავს, რომ დიკრიმინაციის საფუძველი სწორედ წინაგანსჯებია (ანუ უარყოფითი განწყობების ადამიანთა კატეგორიის, ამ შემთხვევაში, სქესის ნიშნით განსხვავებული კატეგორიის მიმართ).

გენდერული დისკრიმინაცია გენდერული თანასწორობის საპირისპირო მოვლენაა. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ გენდერულ დისკრიმინაციას ასე განმარტავს – *სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების*

განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით.

რა არის გენდერული ძალადობა?

ძალადობას ხშირად გენდერული ბუნება ან მიზეზი აქვს. რას ნიშნავს ეს?

- მეზობლებს ხშირად ესმით მამაკაცის ყვირილი, უშვერი სიტყვები და საგნების ლეწვის ხმა, რომელიც მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმრის ბინიდან გამოდის;
- ავღანეთში, რელიგიური წესის თანახმად, ქალი არ უნდა გამოჩნდეს საზოგადოებრივ ადგილებში. თუ ჩაითვალა, რომ ქალმა დაარღვია ქცევის წესები, საზოგადოებას, გარეშე პირებს, სხვა მამაკაცებს უფლება აქვთ, ჩაქოლონ იგი და ამგვარი ფაქტები საკმაოდ ხშირია;
- ზოგიერთ საზოგადოებაში გავრცელებული პრაქტიკაა ქალის მოტაცება მისი ცოლად შერთვის მიზნით;

- N ქვეყანაში ლტოლვილი ქალებისა და ბავშვების ჯგუფის საზღვარზე გადაყვანის საფასურად მესაზღვრეები ქალებისგან სექსუალურ მომსახურებას ითხოვდნენ;
- ქმარი უკრძალავს თავის ცოლს სწავლის გაგრძელებას და ეუბნება, რომ სამსახურსაც არ დააწყებინებს, რადგან მას საკმარისი შემოსავალი აქვს და ცოლმა ოჯახს და ბავშვებს უნდა მიხედოს. მაგრამ როდესაც ცოლი ფულს ხარჯავს ოჯახის საჭიროებებისთვის, ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ფულს უყაირათოდ ხარჯავს ან სხვა დანიშნულებისთვის იყენებს. ქმარს სურს, მთლიანად აკონტროლოს ყველაფერი, რასაც ცოლი აკეთებს ან გრძნობს.

უფრო მოსალოდნელია, რომ ძლიერი ძალადობდეს სუსტზე; ადამიანები ძალადობენ იმაზე, ვინც მათზეა დამოკიდებული და მათ გარეშე არსებობა გაუჭირდება.
პირველ რიგში, ძალადობა შედეგია ძალაუფლების არათანაბარი განაწილებისა კაცებსა და ქალებს შორის.

როდესაც კაცი ქალის მიმართ ძალადობრივ ქცევას ახორციელებს იმის გამო, რომ ის ქალია, მისი სტატუსიდან, როლიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე, ამას გენდერული ხასიათის ძალადობა, ანუ გენდერული ძალადობა ეწოდება.

გენდერული ძალადობა ზოგადი ცნებაა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის – ქალისა თუ კაცის ნების წინააღმდეგ, მისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენებას და რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, განვითარებაზე და პიროვნულ მეობაზე. ოღონდ აქ მთავარი ისაა, რომ ძალადობა ხდება სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი ქალია ან კაცი. აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ბიოლოგიურად ქალი და კაცი, აქ მოიაზრება ქალი ან მამაკაცი, მათი სოციალური, კულტურული და ოჯახური ფუნქციების გათვალისწინებით და, როგორც ადრე აღვნიშნეთ, განსხვავებული ძალაუფლებით.

გაეროს კომიტეტმა, რომელიც ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ შეიქმნა, თავის მე-11 სესიაზე გენდერული ძალადობა ასე განსაზღვრა:

გენდერული ძალადობა არის ისეთი ძალადობა, რომელიც მიმართულია ადამიანის მიმართ მისი სქესის საფუძველზე. იგი შეიცავს იმგვარ ქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან სექსუალურ ზიანს და ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, ძალდატანებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას საჯარო თუ პირად ცხოვრებაში.

მართალია, გენდერული ძალადობის მსხვერპლი, პრინციპში, შეიძლება გახდეს ყველა - ქალი, კაცი, გოგო თუ ბიჭი, გენდერული ძალადობის პირველადი მსხვერპლები მაინც უფრო ქალები და გოგოები არიან.

გენდერული ძალადობა შემდეგ შემთხვევებს მოიცავს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

1. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში; მოიცავს ცემას, სქესობრივი კავშირის იძულებით დამყარებას ბავშვებთან, ცოლის გაუპატიურებას ქმრის მიერ, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას, ძალადობას ქორწინებაში არმყოფი პარტნიორის მხრიდან და ძალადობას ექსპლუატაციის მიზნით;

2. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც ხდება საზოგადოებაში და გულისხმობს გაუპატიურებას, სქესობრივი კავშირის დაძალებასა და არასასურველ შემოთავაზებებს სამსახურებში, საზოგადოებრივ ადგილებში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში. ამაში შედის ტრეფიკინგი და პროსტიტუციაში ჩართვაც;

3. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან ან სახელმწიფოს უმოქმედობის გამო, სადაც არ უნდა ხდებოდეს (გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციის საფუძველზე UNHCR-ის მიერ შემუშავებული განსაზღვრება, 1993 წ.).

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისთვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა [2].

გენდერული ძალადობის ფორმები

გენდერულ ძალადობას მრავალფეროვანი გამოვლინებები აქვს. ზოგჯერ მისი გარჩევა ძნელია ძალადობის სხვა ფორმებისგან, იმდენად მსგავსია სიმპტომები, მოძალადისა და მსხვერპლის მახასიათებლები, გარემო სიტუაცია და ძალადობის შედეგები. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გენდერული ძალადობის ამოსაცნობად უნდა გვახსოვდეს, ისაა, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი სქესის მიმართ მისი ამ სქესისადმი (ოღონდ აქ ვგულისხმობთ

გენდერულ როლს) მიკუთვნებულობის გამო ჩადენილ ძალადობას. ნებისმიერი ძალადობა, რომლის მსხვერპლი ქალი იყო, როდია გენდერული ძალადობა. თუ ქალი ძარცვის მსხვერპლი გახდა ან თუ მას კონფლიქტური ურთიერთობა აქვს მეზობლებთან ან ოჯახის წევრებთან, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გენდერულ ძალადობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ ოჯახი ქალს სისტემატურად ავიწროებს, რადგან ითვლება, რომ ქალი ვალდებულია მორჩილი იყოს ოჯახის წევრი მამაკაცებისა, აიტანოს ტკივილი და თავისუფლების შეზღუდვა – აქ უკვე აშკარაა გენდერული ძალადობის ყველა ნიშანი.

ასევე, ყოველი სიტუაცია, სადაც კაცი იჩაგრება ან მას ტკივილს და ტანჯვას აყენებენ, არ ჩაითვლება გენდერულ ძალადობად, ხოლო თუ ის ძალადობის მსხვერპლი იყო მისი სქესის გამო, მხოლოდ მაშინ ვამბობთ, რომ საქმე გენდერულ ძალადობასთან გვაქვს. ქალისა და კაცის ურთიერთმიმართებაში ასეთი შემთხვევები ტიპური არ არის, რადგან, საზოგადოდ, კაცი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და კონტროლისა და ძალაუფლების მექანიზმებიც მის ხელშია თავმოყრილი. გაგვიჭირდება ისეთი საზოგადოების დასახელება, სადაც ქალი ფლობს სტრუქტურულ ძალაუფლებას და ამით ბოროტად სარგებლობს კაცის საზიანოდ.
კაცის მიმართ გენდერული ძალადობის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ზოგიერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა მამაკაცებისთვის ადრეული, მისი ნების წინააღმდეგ ქორწინება, სხეულის დაზიანების ტრადიციული პრაქტიკები და ა.შ. გენდერულ ძალადობას კაცის მიმართ შეიძლება მივაკუთვნოთ ფსიქოლოგიური ძალადობა მასზე ოჯახის წევრების

[2] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 3'.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=18

მხრიდან, თუ ის მისი ტრადიციული გენდერული როლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგალითად, არ შეუძლია, არჩინოს ოჯახი; ან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა თანატოლების მხრიდან ახალგაზრდა მამაკაცზე, თუ იგი საკმარისად აგრესიული არ არის.

ქვემოთ ჩამოთვლილია გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეები, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდება. ისინი 4 კატეგორიაში ერთიანდება: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და სტრუქტურული. ძალადობის ეს ფორმები ან ცალ-ცალკე გვხვდება, ან შეიძლება, რამდენიმე ფორმა ერთად მონაწილეობდეს:

- გაუპატიურება, მათ შორის გაუპატიურება მეუღლის მიერ;
- გაუპატიურების მცდელობა;
- სქესობრივი ექსპლუატაცია;
- პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმა;
- სექსუალური შევიწროება;
- ფიზიკური შეურაცხყოფა;
- ტრეფიკინგი;
- სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- დისკრიმინაცია და შესაძლებლობების/რესურსების შეზღუდვა;
- იზოლაცია, გამოკეტვა;
- კანონმდებლობის მხრიდან (გენდერულად დისკრიმინაციული, უსამართლო ან გენდერულად ბრმა კანონები);
- ადრეული ან იძულებითი ქორწინება;
- საზიანო ტრადიციები (მაგ. გენიტალიების დასახიჩრება);
- მკვლელობა ღირსების სახელით;
- ინფანტიციდი (ახალშობილის მოკვდინება) და ბავშვის უარყოფა მისი სქესის გამო.

გენდერული ძალადობის კერძო სახეა **ოჯახური ძალადობა.** საქართველომ 2006 წელს მიიღო კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, რომლითაც ოჯახურ ძალადობას დანაშაულად აღიარებს და პრევენციულ და დაცვით ღონისძიებებს გვთავაზობს (იხ. კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ").

ოჯახში ძალადობა მხოლოდ გენდერული ძალადობა არ არის, რადგან მასში შედის ძალადობა ბავშვის მიმართ, ოჯახის ასაკოვანი წევრების მიმართ და, საერთოდ, ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ, მათი სქესისგან დამოუკიდებლად. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვეუბნება, რაოდენობრივად აქაც ქალის მიმართ ძალადობის მრავალფეროვანი ფორმები ლიდერობს.

ცალკე აღსანიშნავია ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტრეფიკინგი. ტრეფიკინგი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრება როგორც „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით". ადამიანთა ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი წილი სექს-ტრეფიკინგზე მოდის და სწორედ ეს სახეა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან აქ ძალადობა სწორედ ქალის მიმართ ხდება.

ქალის მოტაცება კიდევ ერთი ფორმაა, რომელიც უცხო არ არის ჩვენი რეალობისთვის. ქალზე ძალადობის ეს სახეც კომპლექსურია, რადგან ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, როგორც

წესი, მას ხშირად ერთვის გაუპატიურება და ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა. სამწუხარო ტენდენცია ის არის, რომ გენდერული ძალადობის ამ ფორმის მიმართ, მართალია, კანონი მკაცრია, მაგრამ საზოგადოება საკმაოდ ლოიალურია. აქაც მთავარ იარაღად განათლება გვევლინება. მანამდე კი ქალის მოტაცება მიღებული და ნორმალური მოვლენაა, რომელშიც მოტაცებული ქალი იჩაგრება მხოლოდ.

რას ეფუძნება გენდერული ძალადობა?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გენდერული ძალადობის მიზეზები გენდერულად დისკრიმინაციულ სტერეოტიპებში და ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაში უნდა ვეძიოთ. ეს არის შეზღუდვებისა და პრივილეგიების, როლებისა და შესაძლებლობების სისტემა, რომელსაც მარტივად ვერ მოვერევით. იგი ხანგრძლივ და სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს, რისი ძირითადი ელემენტიც განათლებაა.

ოჯახური ძალადობა

როგორც უკვე ვთქვით, ოჯახური ძალადობა გენდერული ძალადობის კერძო ფორმაა. მისი განსაკუთრებული მახასიათებელია აგრესიული და მაკონტროლებელი ქცევა, რომელსაც ოჯახში ერთი წევრი მეორის მიმართ სჩადის. რამდენად გავრცელებულია გენდერული ძალადობა? სტატისტიკა სხვადასხვა ქვეყანაში ვარირებს, მაგალითისთვის მოვიყვანთ აშშ-ს,

სადაც ქალების ერთი მეოთხედი, ანუ 12 მილიონზე მეტი, იძულების მდგომარეობაშია (ზოგჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე) ახლანდელი ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან. 5 მილიონზე მეტ ქალზე კი უხეშად ძალადობენ.

ოჯახური ძალადობის ძირითადი ტიპები იგივეა, რაც გენდერული ძალადობისა: ეკონომიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიურ-ემოციური, სექსუალური. მსგავსია მათი განსაზღვრებებიც.

მოძალადის ძირითადი მახასიათებლებია: კონტროლის სურვილი; ძალაუფლების სურვილი; დაბალი თვითშეფასება; სხვისი დადანაშაულების ტენდენცია.
ძალადობის მსხვერპლის ძირითადი მახასიათებლებია: მოთმენა; დაბალი თვითშეფასება; დამნაშავეობის გრძნობა; სხვაზე დამოკიდებულება.

ძალადობრივი ქცევის ელემენტებია:

დაშინება - მზერით, ქცევით, მიმიკით, ხმის აწევით, ნივთების მტვრევით.
მუქარა - თავის მოკვლით, ბავშვების წართმევით და ა.შ.
იზოლაცია - კონტროლი, თუ რას აკეთებს ქალი, ვისთან ურთიერთობს, სად დადის; ჩაკეტვა, არგაშვება.
ემოციური ძალადობა - დამცირება, დაცინვა; დააჯერო, რომ გიჟია.
ეკონომიკური ძალადობა - ხელის შეშლა სამსახურის შოვნაში; იძულება, რომ გთხოვოს ფული; ფულის წართმევა.
სექსუალური ძალადობა - იქონიო სექსი ქალის ნების გარეშე; მოექცე, როგორც სექსუალურ ობიექტს.

ბავშვების გამოყენება - იძულება, რომ ბავშვების წინაშე დამნაშავედ იგრძნოს თავი; ბავშვის გამოყენება დანაბარების გადასაცემად.
მამაკაცის უპირატესობის გამოყენება - მოეპყრო, როგორც მსახურს; დასცინო მის გადაწყვეტილებებს; მოიქცე, როგორც ბატონ-პატრონი.

ოჯახური ძალადობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ძალადობის მსხვერპლი ვერ თავისუფლდება ამ ძალადობისგან და ზეწოლის/იძულების პირობებში რჩება; ვერ მიმართავს დახმარებას და არავის აცნობებს ამის შესახებ. რატომ შეიძლება ეს ხდებოდეს?

შესაძლოა, ფინანსური დამოკიდებულების გამო; შეიძლება, არის მუდმივი შიში და უნდობლობა სხვების მიმართ; შეიძლება, იყოს ძალადობის ესკალაციის შიში; შეიძლება, ჰყავდეთ შვილები, რომელიც ფინანსურად და ემოციურად დამოკიდებული არიან მათზე; შეიძლება, უხერხულობას გრძნობდეს საკუთარი ოჯახის ან მეგობრების წინაშე; შეიძლება, კულტურული ან რელიგიური შეხედულებების გამო, რომელიც ოჯახის შენარჩუნებას ნებისმიერ პირობებში გულისხმობს; შეიძლება, ჯერ კიდევ უყვარდეს პარტნიორი; შეიძლება, თავად იყოს აღზრდილი იძულებისა და ზეწოლის პირობებში და სხვანაირი ურთიერთობის შესახებ არც კი იცოდეს.

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რიცხოვნობის შესახებ, 2018 წ.
რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

მოძალადე				მსხვერპლი			
რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება		რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
954	5 671	14	86	5 875	1 018	85	15

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა განაწილება, 2018 წ.,%



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მონაცემები კავშირშია მდგრადი განვითარების მიზნის „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე“ შეფასების მაჩვენებელთან 16.1.3.

პრევენციული ზომები

მხოლოდ ხელშემწყობი და ზეგავლენის მქონე ფაქტორების გაგებით შევძლებთ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მიღებას. პრევენციული ზომები მიმართულია როგორც პოტენციური მოძალადეების, ისე პოტენციური მსხვერპლების მიმართ და ასევე იმათ წინააღმდეგ, ვინც შეიძლება, ეხმარებდეს მათ.
ეფექტური პრევენციული ღონისძიებები 5 ამოცანაზე მიმართულ ქმედებებს მოიცავს:

1. სოციო-კულტურული ნორმების შეცვლა ქალთა გაძლიერების მიმართულებით;

2. ოჯახური, საზოგადოებრივი და დახმარების სტრუქტურების გამყარება;
3. ეფექტური სამსახურების შექმნა;
4. ფორმალურ და ტრადიციულ სამართლის სისტემებთან მუშაობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
5. გენდერული ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და დოკუმენტირება.

სექსუალური შევიწროება სამსახურში ან სასწავლო გარემოში

სექსუალური შევიწროება ქალთა სტრუქტურული დისკრიმინაციის სახეა, რომელიც გამოიხატება სამსახურში, სასწავლო დაწესებულებებში, გარე სივრცეებში მამაკაცის მხრიდან სექსუალური ხასიათის ყურადღებითა და ქცევით ქალთა შეწუხების, დაშინებისა თუ ძალადობის ფორმით. ის გამოწვეულია იმით, რომ კაცებს მეტი სტრუქტურული ან სიმბოლური ძალაუფლება აქვთ.

ამგვარი შევიწროების ორი ფორმა არსებობს:

- მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo), რაც სექსუალური ხასიათის მოთხოვნას გულისხმობს;
- მტრული სამუშაო და სასწავლო გარემო, რაც სამსახურში დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას გულისხმობს.

სექსუალური შევიწროება შეიძლება იყოს ფიზიკური, სიტყვიერი (ვერბალური) და არასიტყვიერი.

ფიზიკური ქცევა:

- არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, რომელიც მოიცავს ფერებას, ჩახუტებას, ხელის გადასმას, ჩქმეტას ან/და სხვა შეუფერებელ შეხებას;
- ფიზიკური ძალადობა, მათ შორის სექსუალური ძალადობა;
- სამსახურთან დაკავშირებული მუქარა ან წახალისება სექსუალური ქცევის სანაცვლოდ.

სიტყვიერი (ვერბალური) ქცევა:

- კომენტარები გარეგნობის, ასაკის, პირადი ცხოვრების და ა.შ. შესახებ;
- სექსუალური კომენტარები, ამბები, ხუმრობები;
- განმეორებადი და არასასურველი დაპატიჟება პაემანზე;
- შეურაცხყოფა სქესის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე;
- ქედმაღლური და პატერნალისტური შენიშვნები/დამოკიდებულება.

არასიტყვიერი ქცევა:

- აშკარა სექსუალურად გამოხატული მასალის ჩვენება;
- სექსუალური ხასიათის მიუღებელი ჟესტიკულაცია;
- სტვენა

აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროება გულისხმობს არათანაბარ ძალაუფლებას და ფორმალური, სტრუქტურული ან ტრადიციული ძალაუფლების მქონის მხრიდან ხორციელდება. ამიტომ გვხვდება როგორც ვერტიკალურ (დაქვემდებარებულის მიმართ), ასევე ჰორიზონტალურ ურთიერთობებში.

საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც სექსუალური შევიწროება რეგულირდება, 2019 წლის 3 მაისს დაამტკიცა. ცვლილებებს მხარი 102-მა დეპუტატმა დაუჭირა. ცვლილება ოთხ კანონში შევიდა: შრომის კოდექსში, სახალხო დამცველის შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

დღეს უკვე კანონმდებლობა გვაძლევს სექსუალური შევიწროების დეფინიციას, რომლის თანახმადაც, ***სექსუალურ შევიწროებად ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას და ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.***

სექსუალური შევიწროება სკოლაში

სექსუალური შევიწროება სერიოზული პრობლემაა მოსწავლეებისთვის. ეს პრობლემა ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე შეიძლება ვიფიქროთ, რადგან ბევრი მოსწავლე ძალიან შეშინებულია ან უხერხულობას გრძნობს და ამის შესახებ ვერ ჰყვება. შევიწროება განსხვავდება არშიყისა და მოწონების გამომხატველი ქცევისგან, რომლის მიმართ პოზიტიურად ვართ განწყობილი. სექსუალური შევიწროება ესაა არასასურველი სექსუალური სიახლოვე, რომელიც აწუხებს, აშინებს, დისკომფორტს უქმნის ბავშვს და აისახება სასკოლო წარმატებაზე, ბავშვის სასკოლო დასწრებაზე, სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში მონაწილეობაზე და რაც მთავარია, ბავშვის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე.
რა სახით გვხვდება სექსუალური შევიწროება?
სიტყვიერი - კომენტარები სხეულის შესახებ, სექსუალური ხასიათის ჭორების გავრცელება, სექსუალური სახის კომენტარები, ბინძური ხუმრობები და ამბების შეთხზვა და ა.შ.
ფიზიკური - შეხება, მიხახუნება, ჩქმეტა, ფიზიკური იძულება, ხელის კვრა და ა.შ.
ვიზუალური - შიშველი ადამიანების გამოსახულებების ჩვენება, სექსთან დაკავშირებული საგნების დემონსტრირება, უხერხული მოძრაობები და ა.შ.
სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შეიძლება იყოს გოგოც და ბიჭიც. ვინ შეიძლება ახდენდეს სექსუალურ შევიწროებას? ეს შეიძლება იყოს თანაკლასელი, სხვა კლასის მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, მწვრთნელი ან სკოლაში მომუშავე სხვა ადამიანი.

მაგალითი: მასწავლებელი ბავშვს უკეთეს ნიშნებს ჰპირდება გარკვეული სახის სექსუალური ქცევისთვის (კაბის აწევა, მოკლე კაბის ჩაცმა, გაკვეთილის მერე ცარიელ კლასში დარჩენის მოთხოვნა, შეხება და ა.შ.) ასეთი სახის სექსუალურ შევიწროებას უწოდებენ მომსახურებას მომსახურების სანაცვლოდ.

სკოლაში სექსუალური შევიწროების პრევენცია

სამწუხაროდ, სკოლა არის ინკუბატორი ყველა იმ ღირებულებებისა და შეხედულებათა სისტემებისა, რომლებიც ხელს უწყობს სექსუალური შევიწროების კულტურების არსებობას. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ კულტურების შესაცვლელად? რა შეუძლიათ მშობლებს და განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტებს? ასაკის შესაბამისი რა გზები არსებობს ამის შესახებ ჩვენს ბავშვებთან და მოსწავლეებთან სასაუბროდ?
პირველ რიგში, უნდა დავეხმაროთ ჩვენს ბავშვებს, ამოიცნონ სექსიზმი და მისი ეფექტები ყველგან, სადაც ამას ვხვდებით. ამის ერთ-ერთი მარტივი გზაა ჩვენს მოსწავლეებთან გენდერულ სტერეოტიპებზე საუბარი და მათი გამოკითხვა, როდესაც ამას ვხედავთ.
კლასებში, სადაც მასწავლებელი ბავშვებს „ბიჭებად“ და „გოგოებად“ ჰყოფს და აქცენტს მათ განსხვავებებზე აკეთებს, ბავშვებს უფრო სტერეოტიპული შეხედულებები აქვთ გენდერზე, ვიდრე იმ მოსწავლეებს, ვისი მასწავლებლებიც ინკლუზიურ ტერმინებს იყენებენ, როგორიცაა „მოსწავლეები” ან „ბავშვები”. ასე, მაგალითად, ასეთი „დაყოფილი“ კლასის მოსწავლეები უფრო ხშირად ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ჰქონდეთ გარკვეული სამუშაო და გარკვეული თვისებები. ასეთი სტერეოტიპები შეზღუდულ იდეებს აწვდის მათ გენდერის შესახებ და შესაძლოა, ბულინგი ან შევიწროება გამოიწვიოს განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვები გენდერული ნორმების წინააღმდეგ ინტერესსა და ქცევას ავლენენ (მაგალითად, ბიჭები, რომელთაც უყვართ ცეკვა; გოგოები, რომლებიც კარგად ეუფლებიან კომპიუტერს).
მეორე - ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, თუ როგორ ებმის გენდერული მოლოდინები ბულინგსა და შევიწროებას სკოლებში. დოროთი ესპელეიჯმა, სკოლებში ძალადობის პრევენციის საერთაშორისო ექსპერტმა, გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, მე-5 დან მე-7 კლასების ჩათვლით ბულინგში ჩართული მოსწავლეები უფრო მიდრეკილნი იყვნენ ჰომოფობიური შევიწროებისა და სექსუალური ძალადობისკენ. ამ კვლევამ გვიჩვენა, რომ თუკი ბულინგის პრევენციის პროგრამები არ მიემართება მამაკაცურ როლთან დაკავშირებულ გაზვიადებულ სტერეოტიპებსა და ჰომოფობიის პრობლემებს, ისინი არაეფექტურია.
მესამე – სკოლა მიზანმიმართულად უნდა მოქმედებდეს თემში დისკრიმინაციული ფაქტების, სექსუალური შევიწროების შემთხვევების, ძალადობის ინციდენტების გამოვლენასა და მათზე რეაგირებისას. ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა, მათ შორის, „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ , საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“ და სხვა სამართლებრივი აქტები მოსწავლეებს იცავს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციისგან, ძალადობისგან, ხოლო ასეთი ფაქტების აღმოჩენის/გამოვლენის შემთხვევაში, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებს ითვალისწინებს.
განათლების სამინისტრო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ბევრს მუშაობს გენდერული სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ სწავლებისთვის. ზოგიერთი სკოლა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი

თვითონ იჩენს ამის ინიციატივას. ხოლო სკოლები, რომლებიც ამას არ აკეთებენ, ჩუმად და ხშირად, ცხადადაც უწყობენ ხელს ისეთი ქცევებისა და რწმენების ჩამოყალიბებას, რომელიც სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის კულტურების არსებობას უშვებს. იმედია, ეს სტრატეგიები დაგეხმარებათ მავნე გენდერული სტერეოტიპებისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ სკოლებსა და თემებში სამუშაოდ.

გამოყენებულია: https://www.psychologytoday.com/blog/gender-and-schooling/201710/metoo-and-preventing-sexual-harassment-school

სექსუალური ძალადობა გენდერულ სტერეოტიპებს ეფუძნება

იმის გამო, რომ ამ ქცევასთან ან ამ დამოკიდებულებასთან ხშირად (ან ყოველდღიურად) აქვთ საქმე, სკოლის ასაკის ბავშვები ამას „ნორმალურად“ ან „მისაღებად“ მიჩნევენ. სწორედ წვეთ-წვეთად დაგროვილი მცირე სექსიზმებია ყველაზე მეტი ზიანის მომტანი. გოგოები ჰყვებიან, რომ სექსუალური შევიწროება აღიქმება, როგორც „ყოველთვის ასე იყო და ჩვენ რას ვიზამთ“, ან „ბიჭებს ჰგონიათ, რომ ნორმალურია, შეეხონ გოგოს, როცა მოესურვებათ“. გოგოების ეს მონათხრობები ძნელი მოსასმენია, მაგრამ თვალი უნდა გავუსწოროთ, რადგან ბავშვებისთვის მიყენებულ გამოუსწორებელ ზიანზე მიუთითებს.

სრულიად მიუღებელია, როდესაც ბიჭები ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ გოგოების სხეულებზე მათი (გოგოების) თანხმობის გარეშე. ეს ქცევა აზარალებს გოგოებს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. სექსუალური შევიწროების შედეგად ან მისი შიშით, გოგოები სწავლობენ იმას, თუ როგორ გახდნენ უფრო შეუმჩნევლები, მიეკრან დერეფნების კედლებს, იარონ სკოლის ეზოს კიდეებზე და, ზოგადად, უფრო „პატარა ადგილი დაიკავონ“. თანაბრად პრობლემურია, რომ გენდერული სტერეოტიპები კვლავაც ბატონობს სკოლებში, რადგან სწორედ გენდერული სტერეოტიპები ინარჩუნებენ მავნე აზრებს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო კაცი ან ქალი. სწორედ ეს სტერეოტიპები ამართლებენ ისეთ ქცევას, რომლის გამოც სექსუალური შევიწროება ნორმალურად ითვლება. გენდერული სტერეოტიპები ბიჭისთვისაც და გოგოსთვისაც ერთნაირად საზიანოა. ისინი ავიწროებენ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რისი უფლება გვაქვს ჩვენ, როგორც ამ სქესის წარმომადგენლებს და ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა ვცემდეთ პატივს სხვებს, რომლებიც ჩვენგან განსხვავდებიან. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იტყვის ამას, მოსწავლე თუ მასწავლებელი, მაგრამ ისეთ აზრებს, როგორიცაა: „ბიჭის ტვინი მაინც სხვაა“, ან „გოგოსავით ნუ ცანცარებ“ - სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ამ აზრების წინააღმდეგ გამოვიდეთ და დავარქვათ მათ ნამდვილი სახელი - სექსიზმი.

გამოყენებულია: „Sexism is a problem in every school. Now we must take action”, by Sally Thomas

Text by : SallyThomas Published: 17.04.2018

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილია, რომელიც ადგენს ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და თანაბარი მონაწილეობის გარანტიებს სოციალური, პროფესიული, პოლიტიკური და პირადი ცხოვრების სფეროებში.
გენდერული თანასწორობა ქალებისა და კაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ საშუალებებსა და ისეთ ღირებულებებს გულისხმობს, რომლებიც ემყარება თანასწორობის რწმენას, თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე.

თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ; ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები დამოკიდებული არ იქნება იმაზე, ქალად დაიბადა ადამიანი თუ მამაკაცად.

გენდერული თანასწორობის დროს ქალებსა და კაცებს კანონით ერთნაირი უფლებები აქვთ მინიჭებული და ისინი ამ თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, როდესაც მოვალეობებს ინაწილებენ ოჯახში თუ საზოგადოებაში; ქალებსა და კაცებს თანაბრად ეპყრობიან; მათ ექმნებათ განათლების, შრომისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები; მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სამსახურები და დასაქმების სხვადასხვა შემოთავაზებები, დახმარების და განვითარების პროგრამები; ისინი თანაბრად მონაწილეობენ და თანაბარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა დონის გადაწყვეტილებებში - საოჯახო გადაწყვეტილებებიდან დაწყებული, მაღალი დონის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებებით დამთავრებული; თანაბრად სარგებლობენ მატერიალური სიკეთეებით: ფინანსური მოგება, საბანკო სესხი, საკუთრება, მემკვიდრეობა, თანაბარი ანაზღაურება და ა.შ.

გენდერულ თანასწორობას თვალსაჩინოდ წარმოაჩენს გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობა (პოლიტიკაში, დასაქმების სხვადასხვა სფეროში, განათლებაში და ა.შ.). (ნ.ბ.)

თანასწორობას რაოდენობრივი და თვისობრივი ასპექტები აქვს. რაოდენობრივი ნიშნავს ქალებისა და მამაკაცების რაოდენობრივად თანაბარ განაწილებას საზოგადოებრივი ფუნქციონირების ყველა სფეროში, როდესაც დაცულია ქალებსა და მამაკაცებს შორის რაოდენობრივი წონასწორობა, ბალანსი და ეს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას განაპირობებს - მაგალითად, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

თანასწორობის თვისობრივი ასპექტი კი ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა ცოდნას, გამოცდილებასა და ღირებულებებს, თვით „ქალურობასა“ და „მამაკაცურობას“ თანაბარი წონა ეძლევა.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს მხოლოდ ქალების ინტერესების დაცვას, არამედ ქალებისა და კაცების განსხვავებული მოთხოვნილებისა და ინტერესის გაცნობიერებას და გათვალისწინებას.

გენდერული თანასწორობა საყოველთაო ღირებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. გენდერული თანასწორობის მოთხოვნა ხაზგასმულია საერთაშორისო დოკუმენტებში.

თუმცა გენდერული თანასწორობის მიღწევა საკმაოდ რთული გამოწვევაა, თუკი უთანასწრობის დიდ ისტორიასა და საზოგადოებებში ჯერაც გამჯდარ შეხედულებებს გავითვალისწინებთ ქალისა და კაცის განსხვავებული როლების, უნარებისა და თვისებების შესახებ. ასეთი შეხედულებები, რომლებსაც, შეიძლება, გენდერული სტერეოტიპები ვუწოდოთ, ძირითად თუ არა, მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება იმისათვის, რომ ქალებსა და გოგოებს კაცებთან და ბიჭებთან შედარებით თანაბარი აღიარება ჰქონდეთ და თავიანთი ინტერესებისა და სურვილების მიხედვით განვითარდნენ; გათავისუფლდნენ სქესიდან გამომდინარე ტრადიციული აკრძალვებისა და საზოგადოების (ოჯახების) მკაცრი კონტროლისგან. ამან, თავის მხრივ, შედეგად უნდა მოგვცეს მეტი ქალი ლიდერები და ის, რომ პროფესიები სქესის მიხედვით აღარ ნაწევრდებოდეს; რომ ქალებისა და კაცების შემოსავლები ასე დრამატულად არ განსხვავდებოდეს და ადამიანები არა მათი სქესიდან გამომდინარე ფასდებოდნენ, არამედ მათი უნარ -შესაძლებლობების მიხედვით.

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის შესახებ მიიღო კანონი, რომლის უმთავრესი მიზანი საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნაა. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ გენდერულ თანასწორობასა და დიკრიმინაციას, ანუ თანასწორობის პრინციპის დარღვევას ასე განსაზღვრავს:

ბ) გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

გ) დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით;

დ) პირდაპირი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ე) ირიბი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ რომლის

განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედეგის დადგომასთან (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ვ) განსაკუთრებული ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი,

რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;

ზ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა; თ) თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

იმისათვის, რომ გენდერულ თანასწორობას მივაღწიოთ, აუცილებელია ფორმალური, იურიდიული თანასწორობა ყველა სფეროში, მაგალითად, გენდერული თანასწორობის კანონების, რეგულაციებისა და სტრუქტურების არსებობა. შემდეგ, აუცილებელია ისეთი ზომების გატარება, რომლებიც იმ ისტორიულ და სოციალურ პირობებს გააქრობს, რომლებიც საშუალებას არ აძლევს ქალსა და მამაკაცს, ერთი და იმავე წესებით იღვაწონ. **თანასწორუფლებიანობა** – ეს საშუალებაა, **თანასწორობა** - საბოლოო შედეგი. იგი მიიღწევა, თუ კანონისმიერი თანასწორობა სპეციალური პროგრამებით იქნება გამყარებული: მაგალითად, ქალი მეწარმეების მომზადების პროგრამა და იმავდროულად, კრედიტის გაცემის გენდერულად მგრძნობიარე პირობები, რაც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაა რესურსებზე წვდომაში. პოზიტიური ქმედებანი (კვოტები) გენდერული ბალანსის გამოსასწორებლად ემსახურება გენდერულ თანასწორუფლებიანობას და თანასწორობისკენ მივყავართ.

ასხვავებენ ფორმალურ და არსებით თანასწორობას: „ფორმალური თანასწორობა" გულისხმობს მიდგომას, რომლის მიხედვითაც ქალები და კაცები თანასწორნი არიან კანონებით და არსებობს ფორმალური მოთხოვნები, წარმოებდეს აღრიცხვა და ანგარიშგება გენდერული მდგომარეობის შესახებ და კანონით განსაზღვრულია გენდერული თანასწორობისთვის სტრუქტურების არსებობა. თუმცა ეს შეიძლება, საკმარისი არ იყოს. იმის გამოცხადება, რომ ქალები და კაცები თანასწორნი არიან, თავისთავად ვერ მოხსნის დიდი ხნის განმავლობაში არსებულ უთანასწორო პირობებს, განწყობებსა და ტრადიციებს. როცა გათვალისწინებული არაა სოციალურ-კულტურული გარემო-პირობები, ტრადიციული როლები, მოხსნილი არაა ტრადიციული ბარიერები და ქალებსა და კაცებს იგივე სტანდარტებს ვუყენებთ, შეიძლება, შედეგად არ მივიღოთ თანასწორობა.

მაგალითად, ერთ ქალაქში გაიხსნა ახალი საწარმო, რომელმაც გამოაცხადა, რომ თანაბარი პირობებით ასაქმებს მოქალაქეებს, რაც ნიშნავს, რომ ის თანაბრად ასაქმებს კაცებსა და ქალებს. საწარმომ, ასევე, განმარტა, რომ ყველა თანამშრომელს მოუწევდა ცვლაში მუშაობა და ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ ღამის ცვლაში

რეგულარულად სამუშაოდ. მაგრამ ამ ქალაქში მცხოვრებმა ქალებმა არ შეიტანეს განაცხადი საწარმოში ვაკანტურ ადგილებზე, რადგან ითვლება, რომ ღამით მარტო მგზავრობა მიუღებელი და საფრთხის შემცველია ქალებისთვის.
პოლიტიკამ და კანონმდებლობამ, რომელიც თანასწორუფლებიანად განიხილავს ქალებსა და კაცებს (იმ მნიშვნელობით, რომ მათ მიმართ მოპყრობა „თანაბარი" უნდა იყოს), შესაძლოა, ქალების დე ფაქტო დისკრიმინაცია გამოიწვიოს და უმუშევრად დატოვოს.

არსებობს „**პროტექციონისტური" მიდგომაც**, რომელიც შეიძლება, თანასწორობაში აგვერიოს. ის მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც ქალებს ზოგიერთი საქმეებისა და სამუშაოების შესრულებისაგან „იცავენ", რამაც შესაძლოა, „ზიანი მიაყენოს მათ ან მათი ინტერესების წინააღმდეგ იმუშაოს". თუ ზემოთ მოყვანილ სავარჯიშოს „პროტექციონისტული" მიდგომის ჭრილში განვიხილავთ, მივიღებთ, რომ ქალებს ღამის ცვლაში უსაფრთხოების გამო არ ამუშავებენ. შედეგად, პროტექციონისტული მიდგომა აღიარებს ქალსა და კაცს შორის არსებულ სხვაობას და ამ განსხვავებას ქალების სისუსტედ წარმოაჩენს. ასეთი მიდგომები არ ითვალისწინებს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოს შეეძლო, ქალთა სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აემოქმედებინა იმ განსაზღვრულ საქმიანობებში, რომელთაგანაც ისინი უსაფრთხო და ღია გარემოში არიან „დაცულნი".

არსებითი თანასწორობა (შედეგობრივი თანასწორობა) აღიარებს განსხვავებას ქალებსა და კაცებს შორის და „შედეგობრივი თანასწორობის" მისაღწევად მუშაობს.
არსებითი თანასწორობა თანაბარი შესაძლებლობებისა და სარგებლობის უზრუნველყოფის საკითხს სწავლობს, თუმცა, ამასთან ერთად, აღიარებს დროდადრო საგანგებო ნაბიჯებისა და ზომების მიღების საჭიროებას რეალური (დე ფაქტო) თანასწორობის მისაღწევად.

არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს, თუ „როგორ" და „რატომ" ექცევიან ქალებსა და კაცებს განსხვავებულად და შეიმუშაოს პოლიტიკა/პროგრამები და საგანგებო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად, რასაც „კორექციული მიდგომა" ეწოდება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითის გამოყენებით და არსებითი თანასწორობის მიდგომის საფუძველზე, საწარმოს მმართველებმა ან მფლობელებმა ქალი თანამშრომლებისთვის უნდა შემოიღონ უსაფრთხო ტრანსპორტირების სისტემა სახლიდან საწარმომდე. ეს ღონისძიება ქალებსა და კაცებს საწარმოს მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური შესაძლებლობებით თანაბრად სარგებლობაში დაეხმარება.

ამრიგად, არსებითი თანასწორობა აღიარებს, რომ ზოგჯერ ქალებსა და კაცებს განსხვავებულად უნდა ეპყრობოდნენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობებით სარგებლობა.

2017 წელს არსებითი თანასწორობის ღირებულება აისახა საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა: *„სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს*

განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების ***არსებითი*** *თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად".*[3]

---

1 [3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, მესამე ნაწილი, ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე https://goo.gl/EtVMfB თანასწორობის უფლების შესახებ მოქმედი რედაქცია გულისხმობს შემდეგს: მუხლი 14. *ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.*

გენდერული თანასწორობის მიდგომები და გენდერული განსხვავებების აღიარების მატრიცა

მიდგომები	**განსხვავებების აღიარება**
ფორმალური	არ აღიარებს განსხვავებებს ქალებსა და კაცებს შორის; ეფუძნება გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურ კანონებს, რომელიც თანასწორად განიხილავს ქალებსა და კაცებს და მოელის, რომ ქალები ისარგებლებენ შესაძლებლობებით და იმ სტანდარტებით იმოქმედებენ, რაც კაცებისთვის არის შექმნილი. შეიძლება, ქალებისთვის არახელსაყრელი პირობები შეიქმნას, რადგან ქალები და კაცები ერთნაირები არ არიან.
პროტექციონისტური	აღიარებს განსხვავებას, მაგრამ ცდილობს რა, ქალები ისეთი საქმიანობისგან დაიცვას, რომელიც მათთვის ზიანის მომტანად ითვლება, უარყოფს ქალების უფლებას, ჰქონდეთ თანაბარი საშუალება და შესაძლებლოები. ამით შეუძლია, გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ქალებზე.
არსებითი	აღიარებს განსხვავებას, მაგრამ ნერგავს თანასწორობას ქალებსა და კაცებს შორის და აქცენტს შედეგების თანასწორობაზე აკეთებს; ქმნის პირობებს/საგანგებო ზომებს, რათა კორექცია შეიტანოს იმ გარემოში, რომელიც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს ქალს. ამას „კორექციული მიდგომა“ ეწოდება; ამყარებს თანაბარ წესებს, ცნობს რა, რომ უთანასწორობა არსებობს და მოითხოვს სხვადასხვა ინიციატივებს (ხშირად მოიხსენიება, როგორც „საგანგებო ზომები“, მაგალითად: სამართალი, პოლიტიკა, პროგრამები და მომსახურება) თანაბარი შესაძლებლობების, თანაბარი ხელმისაწვდომობის, თანაბარი შედეგებისა და სარგებლის მისაღწევად.

საერთაშორისო და ადგილობრივი მისწრაფებები გენდერული თანასწორობისთვის

ჯერ კიდევ 1948 წლის გაეროს ქარტიაში აღინიშნა, რომ კაცი და ქალი თანასწორია, რომ ყველა ინდივიდი - რასის, რელიგის, სტატუსის, ასაკისა და სქესის მიუხედავად - სარგებლობს ღირსებითა და უფლებებით. თუმცა ეს განცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მსოფლიოში ქალების ცხოვრება და ბედი შეცვლილიყო. საყოველთაო დეკლარაციამ ვერ უზრუნველყო ღრმად გამჯდარი ტრადიციებისა და უსამართლობის აღმოფხვრა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხსა თუ კულტურებში, რაც ქალის მიმართ ძალადობას და მის დაბალ სტატუსს აღიარებდა. 1967 წლის 7 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა დეკლარაცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი სავალდებულო არ იყო გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის, ამიტომაც მან ვერ უზრუნველყო ახალი, უფრო სამართლიანი გარემო, სადაც ქალები და კაცები საერთო და თანასწორი უფლებებით ისარგებლებდნენ.

ქალის სტატუსზე მომუშავე გაეროს კომისიამ მთელი სამოცდაათიანი წლები მოანდომა ქალების დამცველ კონვენციაზე მუშაობას, რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო. საბოლოოდ, 1979 წელს დამტკიცდა კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რომელიც დღეისათვის რატიფიცირებულია 185 ქვეყნის მიერ. საქართველო ამ დოკუმენტს 1994 წელს მიუერთდა. დღეს განვითარებული დემოკრეტიის ქვეყნებში მოქმედებს ქალისა და კაცის თანასწორობის უზრუნველსაყოფი ეფექტური კანონები და ინსტიტუციური მექანიზმები. განვითარებად ქვეყნებშიც სულ უფრო მეტად აქტიურდება საზოგადოებრივი მოთხოვნა და ქალთა ორგანიზაციების ხმა, რათა ქვეყნებმა შეასრულონ საერთასორისო ვალდებულებები და ქმედითი ნაბიჯები გადადგან ქალთა დისკრიმინაციისა და ტრადიციული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

გენდერული თანასწორობის (უთანასწორობის) მაჩვენებლები

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2006 წლიდან აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს - გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსი (Global Gender Gap Index), რომელიც გენდერული ნიშნით გამოვლენილ ხარვეზებს, უთანასწორობასა და დინამიკას ადგენს დროის მანძილზე.

რეიტინგის შედგენისას ქალებისა და კაცების მაჩვენებლებს ოთხი ძირითადი სფეროში ადარებენ, ესენია:

1. მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში;
2. ეკონომიკური წინსვლა;
3. განათლების ხელმისაწვდომობა;
4. ჯანმრთელობის მდგომარეობა

2020 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდექსში 153 ქვეყანა მოხვდა. მათ შორის საქართველომ 74-ე ადგილი დაიკავა; ეს გაუმჯობესებული მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. მაგალითისთვის, გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით საქართველო 2018 წელს 99 ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო 2017-ში - 94 ადგილზე. მაგრამ კვლავაც დიდი „გენდერული ნაპრალი“ გვაქვს ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის სფეროებში. გენდერული განსხვავების ინდექსის გათვალისწინებით სამაგალითო ქვეყნების პირველ ათეულში რჩებიან ის ქვეყნები, რომლებიც ქალებსა და კაცებს შორის თანაბრად ანაწილებენ ქვეყნის რესურსს.

2011 წლის გენდერული განსხვავების ინდექსის გათვალისწინებით ქვეყნების ტოპ-ათეული ასე გამოიყურება:

1 - ისლანდია; 2 - ნორვეგია; 3 - ფინეთი; 4 - შვედეთი; 5 - ნიკარაგუა; 6 - ახალი ზელანდია; 7 - ირლანდია; 8 - ესპანეთი; 9 - რუანდა; 10 - გერმანია.

ხელფასებში განსხვავების იგივე სურათს ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი 2018 წელს. საქსტატის მონაცემებით, შრომის შესახებ ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 823 ლარი შეადგინა, ხოლო კაცებისა - 1 281 ლარი.



საქართველოს ნაბიჯები გენდერული თანასწორობის მისაღწევად

უკვე 90-იანი წლებიდან საქართველო, როგორც სახელმწიფო და საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები (პირველ რიგში, არასამთავრობო ორგანიზაციები და აკადემიური წრეები) იწყებენ გენდერული თანასწორობისკენ მიმართული სხვადასხვა ინიციატივის განხორციელებას, რომელსაც 2010-ანი წლებისთვის ჩამოყალიბებული გენდერული პოლიტიკის სახე ეძლევა. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სახელმწიფო დონეზე აყვანაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1994 წელს საქართველოს მიერთებამ **გაეროს კონვენციაზე ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ** (CEDAW კონვენცია). კონვენცია, გაეროს შესაბამისი კომიტეტი და მის წინაშე წარდგენილი საქართველოს ანგარიშები და, რაც მთავარია, კომიტეტისგან მიღებული რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის დისკრიმინაციისგან ქალთა დაცვის ყველაზე ყოვლისმომცველი და მძლავრი ინსტრუმენტია გენდერული თანასწორობის მიღწევის მიმართულებით. საქართველომ CEDAW კომიტეტს უკვე ხუთი ანგარიში წარუდგინა, რომლებშიც კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე გენდერულ საკითხებში ქვეყნის მიერ შესასრულებელი გეგმებიც აისახა. 1995 წელს საქართველო, ასევე, შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება იკისრა.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს **ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების** ხელშეკრულებისა.
2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ,** რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობა და სათანადო პირობების შექმნა უზრუნველყოს ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის.
2014 წელს დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც თავის თავში გენდერული დისკრიმინაციის ნაწილსაც მოიცავს. გენდერული თანასწორობის ბოლო დროის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი დოკუმენტია **საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020** წლებისათვის.

ჩვენ ვიმყოფებით, ასევე, გაეროს #1325 რეზოლუციის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების (2018-2020) პერიოდში. ამ გეგმის მთავარი მიზანი ქალების აქტიური ჩართვაა მშვიდობის, კონფლიქტების გადაწყვეტისა და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების დაცვის საქმეში. ეს რეზოლუცია ეხება ადამიანური და პოლიტიკური კატასტროფებით გამოწვეულ საშიშროებებს, რისკებს, ზარალსა და უსაფრთხოების საკითხებს სწორედ გენდერულ განზომილებაში, რაც სამაგისტრო პროგრამის თემატიკისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

გენდერული თანასწორობის მიღწევის მნიშვნელობა ჩადებულია 2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეთანხმებული და მიღებული მიზნების ჩამონათვალში, რომლებიც **მდგრადი განვითარების მიზნებადაა** (SDG) ცნობილი. მიზნები დღევანდელი მსოფლიოს დღის წესრიგის წინაშე არსებულ პრობლემებს ეხმიანება, კერძოდ:

სიღარიბის დაძლევას, პლანეტის დაცვას და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას. 17 მიზნიდან თითოეულს თავისი ნიშნული (ერთგვარი სამიზნე) აქვს, რომლებიც მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. მიღწეული შედეგების გასაზომად ყოველი ნიშნულისთვის განსაზღვრულია ინდიკატორები. *გენდერული თანასწორობის* ელემენტი ყველა ამ მიზანშია გათვალისწინებული, თუმცა, მე-5, როგორც ცალკე მდგომი და დამოუკიდებელი მიზანი, უშუალოდ „გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ყველა ქალისა თუ გოგოს გაძლიერებას“ ეძღვნება. აღნიშნული მიზანი 9 ნიშნულს ანუ სამიზნე დებულებას მოიცავს, მათ შორისაა ქალებისა და გოგოების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრა; ქალებისა და გოგოების მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრა; საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიცაა, ადრეული, იძულებითი და ბავშვთა ქორწინება; ქალების სრული, ეფექტიანი მონაწილეობა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ლიდერობისთვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობა.

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ძლიერდება და დივერსიფიცირდება გენდერული თანასწორობის ინსტიტუტები, ანუ გენდერული თანასწორობის პრინციპების გატარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, ასეთებია: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო - საკანონმდებლო

ხელისუფლების დონეზე არსებული მუდმივმოქმედი ორგანო 2010 წლიდან; აღმასრულებელ დონეზე კი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიაა, რომელიც 2017 წელს შეიქმნა და რომლის შემადგენლობაშიც არიან ყველა სამინისტროს მინისტრის მოადგილეები, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე, სხვა საჯარო სამსახურების უფროსების მოადგილეები, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში არსი კომისიის თავმჯდომარეა. კომისიის მოწვევით, მის მუშაობაში მონაწილეობენ ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.4 აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც გენდერულ უთანასწორობაზე და დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების სწრაფი და ეფექტური ინსტიტუტი5. თითოეულ სამთავრობო უწყებაში, სამინისტროებში 2013 წელს დაინიშნენ მრჩევლები გენდერული თანასწორობის საკითხებში. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალიზაციის მხრივ საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა საქართველოს რეგიონების დონეზე. დღეს ქვეყნის 68 მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოებია შექმნილი; 58 მერიაში დაინიშნა გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი;
66 მუნიციპალიტეტში შემუშავდა და 48–ში დამტკიცდა გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა 6.

სხვადასხვა ხედვებზე დამყარებული გენდერული პოლიტიკა

პოლიტიკაში თუ ყოველდღიურ ურთიერთობაში, ეკონომიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებში, სამსახურში თუ საგაზეთო ტექსტებში, კულტურის პროდუქციაში (ლიტერატურა, კინო, ტელევიზია, ხელოვნება და ა.შ.) გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით. ეს მიდგომები, შეიძლება, ასახავდეს ინსტიტუციის (ორგანიზაციის, სფეროს) ე.წ. გენდერულ პოლიტიკას, რომელიც ზოგან გაწერილი წესებისა და რეგულაციების სისტემას წარმოადგენს, ზოგან კი დაუწერელი წესებისა და პრაქტიკის სახით გვხვდება. მათ შორისაა:

1. **გენდერულად დისკრიმინაციული** – ასეთ მიდგომას საფუძვლად უდევს იდეა, რომ ქალი მეორეხარისხოვანი არსებაა, მას არ სჭირდება დამოუკიდებლობა, საკუთარი შემოსავალი. იგი გონებრივი და მორალური თვისებებით ჩამორჩება მამაკაცს. მისი მთავარი ფუნქცია დედობა და ოჯახზე ზრუნვაა.

2. **გენდერულად ბრმა** - ასეთი მიდგომა უგულებელჰყოფს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მდგომარეობას და შემზღუდავი სტერეოტიპების არსებობას. მისი გავრცელებული ფორმულაა - „ჩვენ ყველას ერთნაირად ვეპყრობით", ან - „რა უშლით ქალებს, რომ პოლიტიკაში მოვიდნენ?"

ამ შემთხვევებში:

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=0
[5] http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/kanonmdebloba/erovnuli-dokumentebi-wom
[6] http://ginsc.net/map_html/index.php?lev=0&cat=0&sub=0&lang=ge

- არ ხდება ქალისა და კაცის მოთხოვნილებების, პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. მოსახლეობა, სამუშაო კოლექტივი ან სხვა ჯგუფი ერთგვაროვან ჯგუფად განიხილება;
- არ იწარმოება დაცალკევებული სტატისტიკა: მაგალითად, ვის უკავია უმაღლესი თანამდებობები; ვის აქვს გადამზადებისა და კვალიფიკაციის მიღების მეტი შესაძლებლობა;
- არ ხდება შრომასთან დაკავშირებული საკითხების დიაგნოსტიკა: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კარიერული ზრდა, გაცდენები;
- უცვლელი რჩება რესურსებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება და ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ კაცებს, შეიძლება, მეტი ძალაუფლება და გავლენა ჰქონდეთ გადაწყვეტილებებზე.

3. **გენდერულად მგრძნობიარე** - ამ მიდგომისას გაცნობიერებულია გენდერული განსხვავებანი და თვალსაჩინოა გენდერულად დისკრიმინაციული აზრები და პრაქტიკა.



ამ შემთხვევებში ხდება:

- გაცნობიერება და აღიარება, რომ განსხვავებები არსებობს საჭიროებებსა და შესაძლებლობებში;
- გენდერულად დაცალკევებული მონაცემების შეგროვება;
- ყველა საკითხზე კონსულტირება როგორც კაცებთან, ისე ქალებთან.

4. გენდერულად ტრანსფორმაციული - გენდერული განსხვავებების, ქალისა და კაცის განსხვავებული მოთხოვნილებების, ჩაგვრის ინსტიტუციონლური ფორმების გაცნობიერებასთან ერთად, ამ მიდგომისას ორიენტირება ხდება სზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცვლილებებზე, სამართლიანობის აღდგენაზე და ქალისა და კაცის როლების ჰარმონიზაციზე. ასევე, ხდება ზრუნვა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, ორივე სქესის ადამიანების გაძლიერებაზე დ პასუხისმგებლობების მინიჭებაზე.

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს:

- არსებული განსხვავებების, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის მიზეზების შესწავლას: ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების გათვალისწინებას (ქალისა და კაცის თვალსაზრისიდან);
- არსებული გენდერული როლებისა და ტრადიციების ეჭვქვეშ დაყენებას;
- ქალებისა და კაცების ურთიერთობის გაუმჯობესების გაძღოლას მთელ საზოგადოებაში;
- ქალებისა და კაცებისათვის გარკვეული უპირატესობებისა და პასუხისმგებლობების მინიჭებას (ჰარმონიული და სამართლიანი პირობების მისაღწევად);
- ქალებისა და კაცების პოტენციალის გაძლიერებას, რათა მათ თანაბარი შანსები ჰქონდეთ, იყვნენ დაქირავებულნი, არჩეულნი და მომზადებულნი.

ქალის უჩინარობა - ესეც ერთგვარი მიდგომაა, რომელიც პატრიარქალური აზროვნებისთვის და პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი და გამოიხატება ტენდენციაში - საზოგადოებრივი და კულტურული სფეროდან (კონტექსტიდან) ქალი მხოლოდ შინა/რეპროდუქციულ სფეროში გარიყოს, რაც მისი (ქალის) როლის დაკნინებასა და უჩინარობას იწვევს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სფეროებში. ამის შედეგად ქალის როლი და ღვაწლი არ ჩანს მსოფლიო ისტორიაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში და ა.შ. ქალის უჩინარობა თანამედროვე ქართულ სინამდვილესაც ახასიათებს: ქალი ხშირად ეწევა მთელ საორგანიზაციო ან დამხმარე საქმიანობის ტვირთს, ასრულებს შავ სამუშაოს, მაგრამ წამყვან პოზიციებზე არ ჩანს. ქალთა უჩინარობა დამახასიათებელია პოლიტიკური პროცესისთვის და პარტიული ცხოვრებისთვის, სადაც ქალები მნიშვნელოვან საქმეებს ასრულებენ, მაგრამ არ არიან პარტიულ სიებში.

გენდერული უთანასწორობა განათლების სისტემაში და მისი დაძლევის რეკომენდაციები

(ადაპტირებულია გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელოდან ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის, TPDC, 2018)

არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ქართულ საზოგადოებაში მოქალაქეთა სხვადასხვა გენდერის განსხვავებულ ჯგუფებს შორის ღრმა უთანასწორობები ჯერ კიდევ არსებობს. ქალები და კაცები სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას განიცდიან და თანასწორად არ მიუწვდებათ ხელი რესურსებსა და შესაძლებლობებზე.

ზოგადი განათლების სისტემა, რომელიც სქესის მიუხედავად, ყველა მოქალაქისთვის პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარების თანასწორად უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს, ხშირად ვერ ასრულებს ამ მისიას და, მეტიც, ხელს უწყობს ისეთი მექანიზმების კვლავწარმოებასა და განმტკიცებას, რომლებიც უთანასწორობის მიზეზია. მართალია, უთანასწორობის განმსაზღვრელი ბევრი სხვადასხვა სისტემური და სტრუქტურული ფაქტორი არსებობს, მაგრამ მისი ზოგიერთი ასპექტის დაძლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემის გარდაქმნას. კერძოდ, მნიშვნელოვანია ძალისხმევა საიმისოდ, რომ შეიცვალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრატორთა ის დამოკიდებულებები, რწმენები და პრაქტიკა, რომლებიც უთანასწორობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის გვხვდება. ასეთი ცვლილებების გამოწვევა კი ნაწილობრივ დამოკიდებულია მოქმედი მასწავლებლებისა და ადმინისტრატორებისთვის კარგად შედგენილი ტრენინგების შეთავაზებაზე.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგების პროგრამა, რომელიც განათლებაში თანაბარი შესაძლებლობებისკენაა მიმართული, კონკრეტულ ზომებს მოიცავდეს ამ სფეროში არსებული უთანასწორობების გადალახვისთვის.

გენდერის მიხედვით სხვაობა ხელფასში

ქალები გამოიმუშავებენ დაახლოებით 40%-ით ნაკლებს, ვიდრე კაცები ანალოგიური სამუშაოსთვის (გეოსტატი 2018).

ჰორიზონტალური სეგრეგაცია: ქალები და კაცები გადანაწილებული არიან სხვადასხვა პროფესიებში და პროფესიები, რომლებიც „ქალურად“ მიიჩნევა, როგორც წესი, უფრო დაბალანაზღაურებადია, ვიდრე ტიპურად „მამაკაცურად“ მიჩნეული პროფესიები (მაგალითად, ექთანი და ექიმი).

ვერტიკალური სეგრეგაცია: დასაქმების ერთსა და იმავე სფეროშიც კი, ქალებს უფრო დაბალი თანამდებობები უკავით, ვიდრე კაცებს: ბევრად მეტი კაცია დირექტორთა, მენეჯერთა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელთა შორის.

განათლების სფერო: 2013-2015 წლებში კაცების საშუალო ხელფასი 550 ლარს შეადგენდა, ხოლო ქალებისა - 428.5 ლარს (აქ განსხვავება 22%-ზე ნაკლებია, - უკეთესი, |ვიდრე საერთო სურათი, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია) გეოსტატი, 2014

ქალების/გოგოების მონაწილეობა STEM განათლებაში

გოგოები და ბიჭები

1 უმაღლესი და პროფესიული განათლების STEM პროგრამებში გოგოების რიცხვი არაპროპორციულად დაბალია:

საბაკალავრო საფეხურის STEM პროგრამები	სამაგისტრო საფეხურის STEM პროგრამები	სადოქტორო საფეხურის STEM პროგრამები	ტექნიკური პროფესიული განათლების პროგრამები
31%	25%	42%	24%

ნაკლები გოგო აბარებს გამოცდას STEM საგნებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

NB:

- *STEM სადოქტორო ხარისხების 47% ენიჭებათ ქალებს.*
- *გოგოებს, საზოგადოდ, უკეთესი შეფასებები აქვთ, ვიდრე ბიჭებს ყველა STEM საგანში*

გოგოები

გოგოების მიერ STEM დარგებში კარიერის არჩევას ბევრი ფაქტორი აბრკოლებს:

- მშობლები ნაკლებ ფინანსურ რესურსებს დებენ გოგოების განათლებაში, ვიდრე ვაჟების განათლებაში;

- გოგოებისა და ბიჭების განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ გაბატონებული სტერეოტიპები;

- განათლება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ბიჭებისთვის, ვიდრე გოგოებისთვის, ამასთან, მასწავლებელთა მიერაც;

- „ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ სწავლა ბიჭებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მათ ოჯახის შენახვა მოუწევთ. გოგოები კი გათხოვდებიან და მათ ქმრები შეინახავენ";

- მასწავლებლების მიერ გოგოებისა და ბიჭების მიმართ სხვადასხვაგვარი მოპყრობა: მასწავლებლები მეტად წაახალისებენ და მეტ დადებით უკუქმედებას აძლევენ ბიჭებს;

- მასწავლებლები დაბალ შეფასებას აძლევენ გოგოების უნარებსა და შესაძლებლობებს; ფიქრობენ, რომ სქესი განსაზღვრავს სხვადასხვაგვარ მიდრეკილებასა და ნიჭს სხვადასხვა დარგის მიმართ (სკოლაში გოგოების უკეთესი ნიშნების მიუხედავად).

„გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ სქესი განსაზღვრავს განსხვავებებს სხვადასხვა საგნის მიმართ მიდრეკილებასა და ნიჭში; სახელდობრ, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ გოგოები ოდნავ სჯობნიან ბიჭებს ჰუმანიტარულ საგნებში, ხოლო ბიჭები სჯობნიან გოგოებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში".

ბერეკაშვილი, გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები, ii

მასწავლებლებს ნაკლები მოლოდინი აქვთ გოგოების მიმართ და სტერეოტიპული „ქალური" როლებით ზღუდავენ მათ.

მასწავლებლები იზიარებენ გენდერული როლების შესახებ ბევრ სტერეოტიპს, მათი მიხედვით მოქმედებენ და ხელს უწყობენ მათ რეპროდუქციას:

„მასწავლებლები სხვადასხვა ტიპის დავალებებს აძლევენ ბიჭებსა და გოგოებს, მაგალითად, საგნების გადაადგილებას ავალებენ ბიჭებს, ხოლო დასუფთავებას - გოგოებს."

ისაკაძე და გვიანიშვილი, 27

- სახელმძღვანელოები მიკერძოებულია: მათში, ძირითადად, წარმოდგენილია მამაკაცების სახეები; არ არის ინფორმაცია ისტორიულად მნიშვნელოვანი ქალების შესახებ; ბევრი გენდერული სტერეოტიპია; ქალების უფლებებისა და გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის ისტორია წარმოდგენილი არ არის.
- გოგოები, ბიჭებთან შედარებით, დაბალ შეფასებას აძლევენ STEM საგნებში თავიანთ მიღწევებს, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად უკეთესი მიღწევები აქვთ.

აღქმები რეალობის საპირისპიროდ	
STEM საგნებში გოგოებისა და ბიჭების მიდრეკილებების შესახებ გავრცელებული რწმენები და სტერეოტიპები	**გოგოების რეალური მიღწევები STEM საგნებში სკოლაში**
- მასწავლებლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბიჭებს „ტექნიკური“ საგნები მეტად ეხერხებათ; - თვითონ გოგოები თვლიან, რომ არ ეხერხებათ STEM საგნები; - მშობლები ფიქრობენ, რომ მათ გოგოებს ისე არ ეხერხებათ STEM საგნები,როგორც მათ ვაჟებს;	- სკოლის შეფასებები: გოგოები, საზოგადოდ, ბიჭებზე უკეთესად სწავლობენ სკოლაში ყველა STEM საგანს; - 2011 წლის TIMSS შეფასება (მე-8 კლასი): გოგოები რამდენიმე ქულით სჯობნიან ბიჭებს ყველა საგანში, გარდა ფიზიკისა, რომელშიც ბიჭები 2 ქულით სჯობნიან მათ; - CAT: გოგოებს ბიჭებზე უკეთესი შეფასებები აქვთ ყველა STEM საგანში - როგორც საშუალო ქულების, ისე უმაღლესი ქულის მიმღებთა შორის პროცენტის თვალსაზრისით; - ერთიანი ეროვნული გამოცდები: გოგოები ბიჭებზე ოდნავ უკეთეს შეფასებებს იღებენ ყველა STEM საგანში გარდა მათემატიკისა, რომელშიც ისინი მნიშვნელოვნად უკეთეს შეფასებებს იღებენ; - მათემატიკის შეფასება მე-9 კლასი: გოგოების შედეგები თანმიმდევრულად უკეთესია ბიჭებისაზე მაშინაც კი, როცა ყველა სხვა ცვლადი კონტროლდება.

რა შეიძლება გაკეთდეს?

სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორების დამოკიდებულებებსა და ქცევას უდიდესი გავლენა აქვს მათი სტუდენტების მიღწევებზე, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისა, რომლებიც ამა თუ იმ სახით სხვებზე ნაკლებად პრივილეგირებულები არიან, მაგალითად, ოჯახის მწირი რესურსების გამო, ან სქესის გამო, რადგან სხვადასხვა გენდერული ნორმისა და სტერეოტიპის გავლენის ქვეშ არიან ოჯახში თუ მთელ საზოგადოებაში.

- ერთი მხრივ, სკოლის მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა მიკერძოებული და სტერეოტიპული ქცევა, გენდერის მიმართ მათი სიბრმავე, ან სოციალური განსხვავებების მიმართ მათი უგრძნობლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს არსებული უთანასწორობების შენარჩუნებასა და გაძლიერებას;

- მეორე მხრივ, თავიანთი მგრძნობელობით და აქტიური ჩარევით, სწავლების ადეკვატური სტრატეგიების გამოყენებით, სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ მეტი თანასწორობისკენ სვლაში; იმ სტერეოტიპების, ფარული კურიკულუმის, უთანასწორობის სტრუქტურული და სისტემური მიზეზების ზემოქმედების განეიტრალებაში, რომლებიც მოსწავლეებს განათლების ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

„მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი, წინ აღუდგნენ ქცევის სტერეოტიპულ მოდელებს, შეცვალონ მოსწავლეების გენდერული მოლოდინები, შექმნან თანასწორი სასწავლო პროგრამა და სკოლები სტუდენტებისთვის უფრო სამართლიან სასწავლო გარემოდ გარდაქმნან.“

Deshmukh Towery, Fostering Gender Equity in Schools (2007)

„მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე ძალიან მოქმედებს საკლასო კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები, რომელთაგან მნიშვნელოვან როლს მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიები ასრულებს. კერძოდ, მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერას გრძნობენ და, ზოგადად, უფრო პოზიტიურად აღიქვამენ საკუთარ მასწავლებელს, უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ თავს მათემატიკაში; მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ავტონომიის წახალისება, მხარდაჭერა, ღირებულებებზე და არა კონტროლზე ფოკუსირებული უკუკავშირი მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე.“

სახელმწიფო შეფასება მათემატიკაში მე-9 კლასი 2015, 96

ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგების პროგრამა შეიცავდეს კომპონენტებს შემდეგი მიზნებისთვის:

o მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, მათ გააცნობიერონ შესაძლო მიკერძოებული და უთანასწორობის გამომწვევი ასპექტები თავიანთ პრაქტიკაში; მათი წახალისება, დაიწყონ საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსია და მისი გაუმჯობესების გზებზე ფიქრი.

o მასწავლებლებისთვის და ადმინისტრატორებისთვის კონკრეტული ინსტრუმენტების მიწოდება, კონკრეტული სტრატეგიების სწავლება, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და მითითებების მიცემა, რომელთა მეშვეობითაც ისინი თავიანთ სასკოლო პრაქტიკას მეტად ინკლუზიურს გახდიან;

o გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გენდერული და სოციალური ინკლუზიის კომპონენტები საგნობრივი ტრენინგების მოდულებშიც იყოს ინტეგრირებული, მათთვის სპეციალურიად მიძღვნილი ტრენინგების გვერდით.

რჩევები მოდულების ავტორებისთვის

სასწავლო მასალები

სასწავლო მასალები - ტექსტები, საგამოცდო კითხვები, ვიზუალური მასალა - შეიძლება მრავალი სახით იყოს მიკერძოებული და ხელს უწყობდეს სტერეოტიპების განმტკიცებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა:

- არ გაიმეორონ მიკერძოება და სტერეოტიპები იმ მასალაში, რომელსაც ისინი თვითონ ქმნიან;

- შეძლონ არსებულ მასალაში მიკერძოებისა და სტერეოტიპების გამოვლენა და შესაბამისად შეარჩიონ რესურსები;

- მაშინაც კი, როცა მასწავლებლებს თავისუფლება არ აქვთ მასალის (მაგალითად, სახელმძღვანელოს) შერჩევაში, მათ შეუძლიათ, თავი აარიდონ განსაკუთრებულად პრობლემური ფრაგმენტების (ტექსტებისა თუ ამოცანების) გამოყენებას, ან მათი პოტენციური ვნების განეიტრალება სათანადო კომენტარებითა და განმარტებებით სცადონ; ასევე, თავად მოსწავლეები წაახალისონ ასეთი პრობლემური ფრაგმენტების გასარჩევად და გასაკრიტიკებლად.

- **ტიპური პრობლემები სასწავლო მასალებში:**

- **სხვადასხვა ჯგუფის სტერეოტიპული წარმოდგენა**

- **სტერეოტიპები სასწავლო მასალებში:**

მოქმედებები:
- მამა ტელევიზორს უყურებს ან გაზეთს კითხულობს, დედა კი სადილს ამზადებს;
- ბიჭები ბურთით თამაშობენ, გოგოები კი - თოჯინებით;
- საკლასო ოთახის მოწესრიგებისას ბიჭები ავეჯს გადაადგილებენ, გოგოები კი ასუფთავებენ;
- კაცი იხდის ანგარიშს რესტორანში;

საქმიანობა:
- კაცი ექიმი და ქალი ექთანი;
- კაცი მეცნიერი და ქალი მასწავლებელი

თვისებები:
- ბიჭი ცუდად იქცევა საკლასო ოთახში, გოგო კი წარმოდგენილია, როგორც ზრდილობიანი და მოწესრიგებული;
- კაცები უფრო აქტიურ და მოქმედ როლებში არიან, ხოლო ქალები - პასიურ და დამხმარე როლებში;
- გოგოები იპრანჭებიან და სარკეში იყურებიან, ბიჭები კი უფრო დაუდევრად არიან ჩაცმულები.

-

ადგილები:

- ბიჭები ეზოში და ქუჩაში, გოგოები - სახლში და დახურულ სივრცეებში;
- ბიჭები მოგზაურობისას, გოგოები - სტატიკურ სიტუაციებში;
- კაცები საჯარო სივრცეებში, ქალები - შინ და ოჯახურ სიტუაციებში.

სივრცეებში.**სეგრეგაცია, ფრაგმენტირაცია და იზოლაცია**

| სეგრეგაცია სასწავლო მასალებში:

- სჭარბობს სიტუაციები, სადაც მხოლოდ ბიჭები ან მხოლოდ გოგონები არიან: მხოლოდ გოგონების სახელები სიტუაციაში, სადაც მოსწავლეები გამოცდისთვის ემზადებიან, ან მხოლოდ ბიჭების სახელები, ვთქვათ, სირბილში შეჯიბრის სიტუაციებში;
- სეგრეგაციის შემთხვევები, როგორც წესი, სტერეოტიპული როლების შემთხვევებთანაა შერწყმული: მხოლოდ ქალის სახელები ან სურათები გამოიყენება სტერეოტიპურად ,,ქალური'' აქტივობების შემცველ სიტუაციებში, ხოლო კაცების სახელები გამოიყენება სტერეოტიპულად ,,მამაკაცურ'', ისევე, როგორც ,,ნეიტრალურ'' სიტუაციებში; |
- სეგრეგაცია ძალიან ხშირია მაშინაც, როცა სიტუაცია ან საქმიანობა ,,ნეიტრალურია'': მაგალითად, მათემატიკის ამოცანაში, რომლის სიუჟეტია რამდენიმე მეგობრის მიერ დასასვენებელი ადგილის შერჩევა, ხშირად მხოლოდ კაცები (უფრო ხშირად) ან მხოლოდ ქალები მონაწილეობენ; |
- იშვიათია სიტუაციები, სადაც სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები ერთად მონაწილეობენ: მაგალითად, თუ სიტუაცია შეიცავს უმცირესობის წარმომადგენელ პერსონაჟებს, ის ჩვეულებრივ არ შეიცავს დომინანტური ჯგუფის წარმომადგენლებს. |

მიკერძოება სასწავლო მასალებში:

რაოდენობა: კაცები, როგორც წესი, უფრო ხშირად ფიგურირებენ, ვიდრე ქალები;

-მნიშვნელობა: დომინატური ჯგუფის წარმომადგენელი კაცები, როგორც წესი, უფრო ცენტრალურ როლებში არიან და უფრო ხშირად მოიხსენებიან სახელით, ხოლო ქალები და გოგოები დამხმარე როლებში არიან და ხშირად სახელის გარეშე ფიგურირებენ;
-სიტუაციებში, რომლებშიც მონაწილეობენ ქალებიც და კაცებიც, კაცებს/ბიჭებს ჩვეულებრივ უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, არიან ქალებზე/გოგოებზე უფროსები, იმარჯვებენ სხვადასხვა შეჯიბრში, უკეთესი ნიშნები აქვთ, ვიდრე გოგოებს.

ზოგადი რჩევები მოდულის ავტორებისთვის:

- ***არ გაიმეოროთ სტერეოტიპები!***
- ***თავი აარიდეთ სეგრეგაციას!***
- ***თავი აარიდეთ მიკერძოებას! წარმოადგინეთ ადამიანები არასტერეოტიპული საქმიანობებით, პროფესიებით ან თვისებებით!***
- ***წარმოადგინეთ სიტუაციები რომლებშიც ურთიერთობაში შედიან სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი გოგოები და ბიჭები!***
- ***გააკონტროლეთ კაცების/ბიჭების ტიპური წარმომადგენლების გამოჩენის სიხშირე!***
- ***წარმოადგინეთ სიტუაციები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფის გამოცდილებებს ასახავს!***

გაკვეთილი

მასწავლებლების ქცევა გაკვეთილზე შეიძლება, მრავალი სახით იყოს მიკერძოებული და არახელსაყრელ პირობებში აყენებდეს სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეებს, თუნდაც თვითონ მასწავლებელი ვერ აცნობიერებდეს საკუთარი ქცევების მოტივებსა თუ შედეგებს. იმისათვის, რომ მასწავლებლებს საკუთარ ქცევებსა და დამოკიდებულებებში შესაძლო მიკერძოებისა და სტერეოტიპების ამოცნობისკენ ვუბიძგოთ, მათი ტრენინგების მოდულები შემდეგი ტიპის აქტივობებსა და სავარჯიშოებს შეიძლება შეიცავდეს:

- დაკვირვებები საკლასო ოთახში მასწავლებლების ქცევაზე და მეტყველებაზე (შესაძლოა, ჩანაწერებზეც);
- მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახში საკუთარი ქცევების ვიდეოჩანაწერების გენდერული ანალიზი;
- მასწავლებლებისთვის ისეთი ვიდეოჩანაწერების ჩვენება, სადაც მიკერძოებისა და სტერეოტიპების შემცველი ფაქიზი მესიჯები ჩანს; მასწავლებელთა მიერ ასეთი ვიდეოჩანაწერების

ანალიზი და კოდირება, რაც ამ ფაქიზი მესიჯების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს;

- მასწავლებლების მიერ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება უთანასწორობის სხვადასხვა ფორმისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახში სხვადასხვა სიტუაციის ან სასწავლო მასალების განხილვა და ანალიზი;
- შერჩეული სასწავლო მასალების ანალიზი გენდერული თუ სხვა ტიპის სტერეოტიპების აღმოსაჩენად.

მასწავლებლების ქცევაში შესაძლო მიკერძოებების მაგალითები:

- *უფრო ხშირად მიმართავენ ბიჭებს;*
- *გოგოებს დასრულებამდე აწყვეტინებენ პასუხს;*
- *ბიჭებს უფრო დიდხანს აცლიან პასუხის მოფიქრებას;*
- *იმახსოვრებენ და იყენებენ ბიჭების სახელებს, გოგოებისაზე მეტად;*

- *ბიჭებს მეტად უსვამენ შეკითხვებს, რომლებიც უფრო „მაღალი დონის“ კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს, ხოლო გოგოებს - შეკითხვებს, რომლებიც უფრო ფაქტების გადმოცემას მოითხოვს;*

- *გოგოებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და ეს ყურადღება ხშირად ნეგატიური და წინააღმდეგობრივია;*

- *გოგოების მიერ შესრულებულ დავალებას აკრიტიკებენ შინაარსის თვალსაზრისით, ხოლო აქებენ სისუფთავის, მოწესრიგებულობისა და დროულობისთვის;*

- *ბიჭების მიერ შესრულებულ დავალებაში კი უფრო ხშირად აქებენ შინაარსს, მიხვედრილობას, ხოლო აკრიტიკებენ ნაშრომის გარეგნულ მხარეს;*

- *უშვებენ, რომ დომინანტური ჯგუფების გამოცდილება საკლასო ოთახში ყველასთვის ნაცნობია;*

- *არ აღიარებენ თავიანთი სტუდენტების მრავალფეროვნებას.*

ადაპტირებულია: UNESCO, 66, IREX და *Kelly et al.*

მაგალითი: განსახილველი სიტუაცია

მე-7 კლასის მათემატიკის მასწავლებელი მამაკაცია. მისი რწმენით, ბიჭებს უკეთესად გამოსდით ლოგიკური და მათემატიკური ამოცანების ამოხსნა, ვიდრე გოგოებს. თავის რწმენას ის საკუთარ გამოცდილებაზე მითითებით ამართლებს, რომ ბავშვობაში მათემატიკაში თავის დებსაც სჯობნიდა და თანაკლასელ გოგოებსაც. გაკვეთილებზე ამოცანების კეთებისას ის ყოველთვის უხსნის ბიჭებს, თუ როგორ უნდა ამოიხსნას ამოცანა, ხოლო გოგოებს თვითონ უხსნის ამოცანებს.

- *არსებობს მონაცემები, რომლებიც გაამართლებდა ამ მასწავლებლის წარმოდგენებს გოგოებისა და ბიჭების უნარების განსხვავების შესახებ?*
- *რამდენად ეთანხმება ამ მასწავლებლის ქცევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ბაზისურ პრინციპებს?*
- *როგორ ზემოქმედებს მასწავლბლის წინასწარი წარმოდგენები სტუდენტების უნარების შესახებ სწავლა-სწავლების პროცესზე?*

ადაპტირებული: UNESCO, 68, და *Kelly et al.*

იმისათვის, რომ მასწავლებლებს გაკვეთილზე თანასწორი გარემოს შექმნის აქტიური სტრატეგიები ვასწავლოთ, ტრენინგები, შეიძლება, შეიცავდეს კონკრეტულ სავარჯიშოებს, მაგალითად, შესაბამის საკითხებზე ბრეინსტორმინგს ან დამოუკიდებელ კვლევას.

მაგალითები:
შეკითხვები ტრენინგის ფარგლებში დისკუსიისთვის ან დამოუკიდებელი კვლევისთვის:

- როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლეთა თანაბარი მონაწილეობა გაკვეთილზე?
- როგორ ვაკონტროლოთ მოსწავლეების ურთიერთობა ერთმანეთთან?
- რა არსებითი თავისებურებები აქვს სწავლა-სწავლების ინკლუზიურ გარემოს?
- რა მეთოდები და პედაგოგიური ტექნიკები უწყობს ხელს ინკლუზიურ სწავლებას?
- როგორ შეიძლება მასწავლებელმა გააუვნებელყოს სახელმძღვანელოებში არსებული მიკერძოება და სტერეოტიპები?
- მასწავლებლის სტუდენტებთან დამოკიდებულებისა და მოპყრობის რომელი არსებითი მხარეები უწყობს ხელს სწავლების ინკლუზიურობას?

ადაპტირებული: UNESCO, IREX

ლექსიკონი

გენდერი. გენდერი სოციალური სქესია. იგი ყალიბდება სოციალურ და კულტურულ გარემოში და ამ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ განსხვავებებს მოიაზრებს ქალსა და კაცს შორის, მათი განსხვავებული როლებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე. გენდერით იქმნება ცალკე კატეგორიები „ქალურობისა“ და „მამაკაცურობისთვის“.
გენდერი შეიძლება შეიცვალოს, რადგან შეიძლება შეიცვალოს ქალისა თუ კაცის როლი და მდგომარეობა საზოგადოებაში, მაგალითად: გაიზარდოს ან შემცირდეს მათი უფლებები; ქალებმა და კაცებმა ხელი მოჰკიდონ საქმეებს, რომლებიც ადრე მხოლოდ საპირისპირო სქესისთვის მიიჩნეოდა შესაბამისად.
გენდერული როლები. გენდერული როლი სოციალური პოზიციაა, რომელსაც ნორმების ან მოლოდინების ერთობლიობა ახლავს ქალებისა და კაცებისთვის; კაცისა და ქალის როლები ერთმანეთისგან განსხვავდება საქმიანობის სახით, სტატუსით, უფლებებითა და მოვალეობებით, რომელიც ამ როლში მოაზრება. როგორც წესი, მამაკაცის როლი უფრო მაღალ სტატუსთანაა დაკავშირებული და კონცენტრირებულია მხოლოდ პროდუქტიულ ფუნქციებზე მაშინ, როდესაც ქალის როლი შეითავსებს როგორც რეპროდუქციულს, ასევე პროდუქტიულს. კულტურაში გენდერული როლი წარმოდგენილია სქესობრივი სიმბოლიკის და ფემინურობა-მასკულინობის სტერეოტიპების სახით.

გენდერული სტერეოტიპები. გენდერული სტერეოტიპები ფართოდ გაზიარებული განსჯები და რწმენებია, რომელიც მტკიცედ ასოცირდება ქალებთან ან კაცებთან. გენდერული სტერეოტიპები მითითებების ფუნქციას ასრულებს, თუ როგორები უნდა იყონ და როგორ მოიქცნენ ქალები თუ კაცები. ამავე დროს ესაა მიკერძოებული დამოკიდებულება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ სქესს მეორესთან შედარებით. გენდერული სტარეოტიპები საზიანოა, რადგან უთანასწორო მოპყრობის პირობებს ქმნის ამ რწმენებიდან გამომდინარე. როდესაც გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე უთანასწორობა და დისკრიმინაცული ქცევა ხორციელდება, ამას სექსიზმს ვუწოდებთ.
გენდერული სტერეოტიპიზაცია ქალებისა და კაცების, როგორც ჯგუფის მახასიათებლებისა და განსხვავებების გადაჭარბებულ განზოგადებას ნიშნავს.

გენდერული თანასწორობა. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილია, რომელიც ადგენს ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებს და თანაბარი მონაწილეობის გარანტიებს სოციალური, პროფესიული, პოლიტიკური და პირადი ცხოვრების სფეროებში.
გენდერული თანასწორობა მიღწეულია, როდესაც საზოგადოებაში ქალისა და კაცის, გოგოებისა და ბიჭების მოთხოვნილებები, საქმეები, მიზნები და შეხედულებები ერთნაირად ფასობს და ერთნაირად არის გათვალისწინებული.
გენდერული თანასწორობის დროს ქალებსა და კაცებს კანონით ერთნაირი უფლებები აქვთ მინიჭებული და ისინი ამ თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ინაწილებენ რა მოვალეობებს ოჯახში და საზოგადოებაში; ქალებსა და კაცებს თანაბრად ეპყრობიან; ექმნებათ განათლების, შრომისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები; მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სამსახურები და დასაქმების სხვადასხვა შემოთავაზებები, დახმარებისა და განვითარების პროგრამები; თანაბრად მონაწილეობენ და თანაბარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა დონის გადაწყვეტილებებში, დაწყებული საოჯახო გადაწყვეტილებებიდან, მაღალი დონის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებებით დამთავრებული; თანაბრად სარგებლობენ მატერიალური სიკეთეებით: ფინანსური მოგება, საბანკო სესხი, საკუთრება, მემკვიდრეობა, თანაბარი ანაზღაურება და ა.შ.
გენდერულ თანასწორობას გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობა (პოლიტიკაში, დასაქმების სხვადასხვა სფეროში, განათლებაში და ა.შ.) წარმოაჩენს.

გენდერული ბალანსი. გენდერული ბალანსი არის იდეალური წონასწორობა, სიტუაცია, როდესაც ქალები, კაცები ბიჭები და გოგოები ჰარმონიულად სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით და თანასწორად არიან წარმოდგენილნი ამა თუ იმ სფეროში.

გენდერული პარიტეტი. გენდერული პარიტეტი გენდერული თანასწორობის რაოდენობრივი მაჩვენებელია. იგი აღნიშნავს ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგოების რიცხობრივად გამოსახულ პროპორციას და გამოისახება, როგორც შეფარდება (ქალების აღმნიშვნელი რაოდენობა შეფარდებული კაცების აღმნიშვნელ რაოდენობასთან). გენდერული პარიტეტი ეხება ქალებისა და კაცების თანაბარ წვლილს ცხოვრების ყველა განზომილებაში (EIGI).

გენდერულად ბრმა მიდგომა. გენდერულად ბრმაა მიდგომა, როდესაც გაუცნობიერებლად ვაკეთებთ ან ვადგენთ რაღაცას იმის გათვალისწინების და აღიარების გარეშე, რომ ქალებსა და კაცებს განსხვავებული მდგომარეობა აქვთ; რომ განსხვავდება მათი ცხოვრებისეული პირობები და აქედან გამომდინარე, მათი საჭიროებებიცა და გრძნობებიც, შეიძლება, ძალიან განსხვავდებოდეს.

გენდერულად მგრძნობიარე (სენსიტიური) მიდგომა. გენდერულად მგრძნობიარე მიდგომისას გაცნობიერებულია განსხვავებები ქალისა და კაცის მდგომარეობას შორის და გენდერულად დისკრიმინაციული აზრებისა და პრაქტიკის არსებობა თვალსაჩინოა. ამ დროს აუცილებლად გროვდება გენდერულად დაცალკევებული მონაცემები; სახელი ერქმევა გენდერულ პრობლემებს და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი ხდება. გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გასატარებლად ჩნდება თანასწორობის დამცავი წესები და ინსტიტუტები. შეიძლება სპეციალური ზომების გამოყენებაც ქალისა და კაცის განსხვავებული მდგომარეობის გასათანაბრებლად.
გენდერულად მგრძნობიარე ადამიანი ამჩნევს თანასწორობის დარღვევისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს და მათზე სხვების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. ასეთი ადამიანისთვის მიუღებელია გენდერულად სტერეოტიპული აზრები და მიკერძოებული ქცევა. იგი მოითხოვს, გარკვეული იყოს ქალებისა და კაცების განსხვავებული მოსაზრებები, მოთხოვნილებები და პრობლემები (ნ.ბ.).

პროტექციონისტური მიდგომა, ერთი შეხედვით, შეიძლება, ქალების მიმართ თანასწორობაში აგვერიოს. პროტექციონიზმი მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც ქალებს იმ საქმეებისგან და ქცევებისგან „იცავენ", რამაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მათ ან საშიში იყოს მათთვის. მაგალითად, ქალებს არ ამუშავებენ ღამის ცვლაში, ან მძიმე (მამაკაცურ) პროფესიებში; ან გოგოებს არ უშვებენ სხვა სოფლის სკოლაში მათი უსაფრთხოების მიზნით. პროტექციონისტული მიდგომა აღიარებს ქალსა და კაცს შორის არსებულ სხვაობას, მაგრამ ამ განსხვავებას ქალების სისუსტედ წარმოაჩენს. ასეთი მიდგომისას სპეციალური ღონისძიებები არ ტარდება იმისათვის, რომ ორივე სქესისთვის ერთნაირად უსაფრთხო გახდეს გარემო; ნაბიჯები არ იდგმება ქალისა და კაცის მდგომარეობის გასათანაბრებლად, ქალთა გაძლიერებისა და ტრადიციულად „არაქალურ პროფესიებში“, საქმეებში და კარიერაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად (Women’s Legal Bureau).

გენდერული მიკერძოება ესაა დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ერთ-ერთი სქესის მიმართ და, აქედან გამომდინარე, უპირატესობის მინიჭება დადებითი მიკერძოების შემთხვევაში ან უსამართლო იგნორირება უარყოფითი მიკერძოების შემთხვევაში. არაცნობიერი გენდერული მიკერძოება ავტომატური, გაუაზრებელი მენტალური ასოციაციაა, რომელიც ეფუძნება გენდერულ დაშვებებს, ტრადიციებს, ნორმებს, ღირებულებებს, კულტურას ან გამოცდილებას. ასეთი ავტომატური ასოციაციებით ჩვენ ვაკეთებთ სწრაფ შეფასებებს და გადაწყვეტილებებს ვიღებთ, მაგალითად, იმის შესახებ, თუ ვინ შეესატყვისება მოცემულ სამსახურებრივ პოზიციას, ან ვისი შესრულებული იქნებოდა უფრო კარგი და ა.შ.

გენდერული დისკრიმინაცია. გენდერული დისკრიმინაცია ნიშნავს სქესებს შორის ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან ერთ-ერთი სქესის შეზღუდვას, რომლის შედეგია დაბრკოლება ერთ-ერთი სქესის წარმომადგენლის (უფრო ხშირად ქალის) მიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერი სხვა უფლებებით სარგებლობაში.

გენდერული დისკრიმინაცია თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს არღვევს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გენდერული დისკრიმინაციის სინონიმია ჩაგვრა გენდერის საფუძველზე.

სექსიზმი. სექსიზმი დამაკნინებელი, დამცინავი და შეურაცხმყოფელი აზრები, სიტყვები და ქცევაა ერთ-ერთი სქესის (როგორც წესი, ქალთა) მიმართ, რომელიც ეფუძნება რწმენას ამ სქესის არასრულფასოვნებისა და მეორე სქესის უპირატესობის შესახებ. სექსიზმისთვის დამახასიათებელია ქალის მნიშვნელობისა და წვლილის გაუფასურება და მისი (ქალის) დაყვანა მხოლოდ სექსუალური ობიექტის ან „რეპროდუქციული მანქანის" ფუნქციებამდე. სექსიზმი გვხვდება მეტყველებაში, ადამიანთა შორის ურთიერთობაში, ლიტერატურაში, რეკლამაში და ა.შ. სექსიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სექსიზმი ქალების მიმართ.

გენდერული ძალადობა. გენდერულ ძალადობაში ჩართულნი არიან კაცები და ქალები, სადაც ქალები ძალადობის სამიზნეა. გენდერული ძალადობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ქალებსა და კაცებს არათანაბარი ძალაუფლება აქვთ. ის მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და/ან სექსუალურ ზიანს. მისი ყველაზე გავრცელებულია ფორმაა ქალზე ძალადობა ინტიმური პარტნიორის (მეუღლის) მხრიდან.
გენდერული ძალადობა მოიცავს ცემასა და წამებას, სექსუალურ ძალდატანებასა და გაუპატიურებას (მათ შორის ქორწინებაში), „ღირსების" მკვლელობას, გოგოების იძულებით და ადრეულ გათხოვებას, ჩვილი გოგოების მკვლელობას, ქალების გენიტალიების დამახინჯებას, სექსუალურ იძულებასა და შევიწროებას სამსახურში, სასწავლებელში და სხვა სივრცეებში, კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციას, გოგოების ტრეფიკინგს და ა.შ.

სექსუალური შევიწროება. სექსუალური შევიწროება ქალთა სტრუქტურული დისკრიმინაციის სახეობაა, რომელიც გამოიხატება სამსახურში, სასწავლო დაწესებულებებში, გარე სივრცეებში მამაკაცის მხრიდან სექსუალური ხასიათის ყურადღებითა და ქცევით ქალთა შეწუხების, დაშინებისა და ძალადობის ფორმით. სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ნაკლებად ხილული ფორმაა, მაგრამ მისი შედეგები დიდ პრობლემებს უქნის ქალებს/გოგოებს თავისუფალი გადაადგილების, პროფესიული განვითარებისა და, ზოგადად, თანასწორი არჩევანის გზაზე. სექსუალურ შევიწროებას ახლავს დამაზიანებელი მოქმედება ქალების/ გოგოების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

გენდერული ანალიზი. გენდერული ანალიზი გამოავლენს, აანალიზებს და მიმართვას ქმედებას არსებული უთანასწორობებისკენ, რომლებიც ქალებისა და კაცების განსხვავებული როლების, ძალაუფლების უთანაბრო განაწილების გამო ჩნდება. გენდერული ანალიზი ინტერესდება უთანასწორობის ფორმებით ცხოვრების მთელ ციკლში, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი კონტროლის უთანაბრობით, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში განსხვავებული მონაწილეობით, ამ უთანასწორობების გავლენით ქალებისა და კაცების კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე და ა.შ. გენდერული ანალიზი სქესით დაცალკევებული მონაცემების წარმოებას მოითხოვს.

სქესით დაცალკევებული სტატისტიკა და მონაცემები. სქესით დაცალკევებული სტატისტიკა ესაა რიცხობრივი მონაცემები, რომელიც ადეკვატურად ასახავს განსხვავებებსა და უთანასწორო მდგომარეობას ქალებსა და კაცებს შორის ცხოვრების ყველა სფეროში (United Nations, 2006). სქესით დაცალკევებული სტატისტიკის მახასიათებლებია: მონაცემების შეგროვება და წარმოდგენა სქესის მიხედვით; გენდერული პრობლემების ასახვა მონაცემებში; მონაცემების შეგროვების პროცესში და მეთოდებში არსებული სტერეოტიპებისა და იმ სოციალურ-კულტურულ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც მიკერძოებას იწვევს მონაცემებში.

გენდერული სოციალიზაცია. გენდერული სოციალიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შეთვისებისა და მათი გათავისების პროცესი. სოციალიზაციის პროცესში ქალები და კაცები (გოგოები, ბიჭები) ჩაყენებული არიან სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში. სოციალიზაციის

მსვლელობაში ჩვენ ვასწავლით გოგოებსა და ბიჭებს, რომ არის ისეთი რამ, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი სქესისთვის და არაა დამახასიათებელი მეორისთვის.
გენდერულ სოციალიზაციაში მონაწილეობს სოციალიზაციის ინსტიტუტები: ენა, ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, სკოლისგარეშე ჯგუფები, კულტურა, მასმედია და აგენტები: მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და მათი ე.წ. როლური მოთხოვნები.
გენდერული როლების დასწავლა ხდება დადებითი და უარყოფითი განმტკიცებით სოციალიზაციის აგენტების მხრიდან, ანუ წახალისების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება გენდერულად ,,სწორი'' ქცევისათვისა და თვისებების გამომჟღავნებისას და უარყოფითი რეაგირებით - დასჯა, იგნორირება, უკმაყოფილო გამომეტყველება, სიტყვები და ა.შ - ბავშვის მიერ გენდერულად ,,არასწორი'' ქცევისა და თვისების (მათ შორის ინტერესის) გამომჟღავნებისას. სოციალიზაციის აგენტები, ასევე, იყენებენ საჭირო მიმართულებით ყურადღების მიმართვის მექანიზმს (მაგ. ბიჭს მივუთითებთ, რომ სათამაშოების ვიტრინაში მანქანებსა და იარაღს შეხედოს, ხოლო გოგონას საოჯახო ნივთებზე მივანიშნებთ). შემდგომში კი ბავშვი თავადაც იწყებს საკუთარი გენდერის გააზრებას და ,,თვითმოდელირებას'' ამ სქემის მიმართულებით.

ლექსიკონის შემდგენელი: ნანა ბერეკაშვილი